# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 2 მარტი, 2010 წელი.

№39 (6405)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

## ცოდვილთა სალაყბოს ტრაგიკული თავგადასავალი

5

საქმე ბევრად უფრო ცუდადაა, ვიდრე თითოეულ ქართველს და თვით პრეზიდენტს წარმოუდგენია...



## „ექვსჯერ რო იყო, ისთევე ის კაცი მევიდა, ბატონო“

3

„შავსათვალიანი“ ოპოზიცია

4

გიორგი ახვლედიანი: იქნებ ის მაინც მოახერხოთ, რომ თქვენს შემდეგ ქვა ქვაზე მაინც დატოვოთ, რათა ქვეყანა საქართველოსგან მომავალში ღირსეული სახელმწიფო ავაშენოთ...

სიტყვა, რომელიც არ ათქმევინეს

პეტრე მამრაძე: **ნაძირალების უკანასკნელი თავშესაფარი**

3

თავისი გარემოცვიდან პრეზიდენტს ვერავინ ვერ ეუბნება სიმართლეს



პაატა კოღუაშვილი:

## სოფლის მეურნეობის სამინისტრო გაუნათლებელი ბავშვების ბუდეა

6

დღის ჯირ-გორობი

2



თემურ შაშიაშვილი:

## საქართველოს პოლიცია მართავს

## მცოცავი ანექსია ოსური სოუსით

## თუ გინდა „არიოლ-რეშკა“ ააგდონ, ოღონდ ერთობა შედგეს

რა სიურპრიზებს უმზადებს „ქართული აკადემია“ ალასანიას?

## აი, რა ქმნა „იავნანამ“

7



და... კიდევ რას იზამს!

**პოზიცია**

# მცოცავი ანექსია ოსური სოუსით

**ყაზბეგისა და ზემო ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტები სამი წლის შემდეგ ისევ ამოქმედდა. ამის შესახებ, ჯერ კიდევ გასულ კვირას, განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ნალბანდოვმა. როგორც ის განმარტავდა, ყაზბეგის (საქართველოძ გამშვები პუნქტის გავლით პირების, სატრანსპორტო საშუალებების, ტვირთების, საქონლისა და ცხოველების გატარება განხორციელდება ჩვენი ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ლარსის (რუსეთის ფედერაციაძ რუსეთის ფედერაციის კანონებისა და წესების სრული დაცვით.**

გამშვები პუნქტები გახსნილი იქნება ყოველდღიურად — 1 მარტიდან 1 ნოემბრამდე, 06:00 სთ-დან 22:00 სთ-მდე, ხოლო 1 ნოემბრიდან მარტამდე — 07.00-დან 19.00 სთ-მდე. ამასთან, აკრძალულია სახელმწიფო საზღვრის ფეხით გადაკვეთა. ყაზბეგის გამშვებ პუნქტზე არ გაიცემა საქართველოს ვიზები, როგორც მინისტრის მოადგილემ განაცხადა, შესაბამისი შეთანხმება 2009 წლის 28 ოქტომბერს ერევანში, სომხეთის შუამავლობით და 2009 წლის 23 დეკემბერს ყაზბეგის გამშვებ პუნქტზე, შვეიცარიის მხარის მონაწილეობით, საქართველოსა და რუსეთის ექსპერტთა შეხვედრებზე შედგა.

გუშინ საქართველომ საზღვარი დათქმულ დროს გახსნა, რუსეთის მხარემ კი ცოტა დააგვიანა. თუმცა მანამდე რუსულ მედიაში გავრცელდა რუსეთის ფედერაციის უშიშროების ფედერალური სამსახურის წარმომადგენლის ალექსანდრე სოლოდის განცხადება, რომ ყაზბეგი-ზემო ლარსის საბაჟო-გამშვები პუნქტის გავლით რუსეთ-საქართველოს საზღვრის გადაკვეთა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებსაც შეეძლებათ.

ამ ინფორმაციას მყისვე გამოეხმაურა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ ეს ინფორმაცია უარყო.



**ნინო კალანდაძე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე:**

— რუსულმა მხარემ კანონმდებლობა დე-იურე ქმედებებს შეუსაბამა და მხოლოდ ჩანაწერი გააკეთა დოკუმენტაციაში, სადაც ჩრდილოკავკასიელებთან ერთად ჩამონათვალში დაამატა ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მოქალაქეები. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ლარსზე გადაადგილება შეეძლებათ მხოლოდ იმ მოქალაქეებს, რომელთაც მზად ექნებათ შესაბამისი დოკუმენტაცია და რომელიც საქართველოს კანონმდებლობასთან იქნება შესაბამისობაში.

როგორც ჩანს, ყაზბეგი-ზემო ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნა კიდევ დიდხანს იქნება მითქმა-მოთქმის, ათასი ვარაუდის და, შესაძლებელია, არასასურველი ინციდენტების მიზეზი. ოპოზიციონერთა რიგებში ამ ფაქტს უკვე მოჰყვა საკმაოდ მწვავე გამოხმაურებები. კერძოდ, ქრისტიან-დემოკრატებმა და „ეროვნულმა ფორუმმა“ გუშინ პრეს-



კონფერენციები გამართეს და ხელისუფლების ეს ნაბიჯი დიდ შეცდომად შეაფასეს.

ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წევრი ნიკა ლალიაშვილი არ გამორიცხავს, რომ ლარსის გახსნით ყაზბეგის რაიონი ახალგორის ბედს გაიზიარებს.

**ნიკა ლალიაშვილი, ქრისტიან-დემოკრატიული პარტია:**

— ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის ამოქმედება ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს ეწინააღმდეგება. ხელისუფლების უმაღლესი პირების მხრიდან ადგილი ჰქონდა ტყუილს, მოსახლეობისა და პოლიტიკური სპექტრის შეცდომაში შეყვანას, რადგან ისინი ლარსის მხოლოდ სატრანზიტო ტვირთებისთვის გახსნაზე საუბრობდნენ, სინამდვილეში კი ეს გადაწყვეტილება ტვირთების გატარების გარდა, სამოქალაქო მიმოსვლის აღდგენასაც ითვალისწინებს.

ჩვენთვის, ასევე გაუგებარია, კონკრეტულად რა გარიგება მოხდა ამ შემთხვევაში სომხეთთან და რა პირობების სანაცვლოდ მიიღო ქართულმა მხარემ ეს გადაწყვეტილება. გაუგებარია ისიც, რომ, თუ რატომ უნდა შევუწყოთ ხელი გიუმრში დისლოცირებული რუსული სამხედრო ბაზის ტექნიკით მომარაგებას. გასაგებია, რომ საქართველოს აქვს ვალდებულებები მეზობელ სახელმწიფოებთან, და როცა ერთ კონკრეტულ მეზობელ ქვეყანასთან დაპირისპირებული ხარ, რეგიონში კონფრონტაციის მიზეზად არ უნდა იქცე. ამის მიუხედავად, გასათვალისწინებელია ერთი რამ, — არც ერთი ქვეყანა არ გცემს პატივს, თუ ამას თავად არ აკეთებ საკუთარი სახელმწიფოსადმი.

დეპუტატმა ზემო ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის ამოქმედების გამო უსაფრთხოების დამატებითი გარანტიების უზრუნველყოფა მოითხოვა და დასძინა, რომ ყაზბეგის მოსახლეობას შიშის სრულიად რეალური საფუძველი აქვს. მისივე ინფორმაციით, ჩრდილოეთ ოსეთში რუსეთის სპეცსამსახურების დაფინანსებით ოთხი ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაცია მოქმედებს, რომლებიც დაკავებულია ფსევდო-ისტორიული ნარკვევების გავრცელებით იმის თაობაზე, თითქოს ყაზბეგის რაიონი „დედა-ალანიის“ განუყოფელი ნაწილია, ისინი ყაზბეგში შეღწევის მიზნით აქტიურად მუშაობენ და ამისკენ ოსეთის ოსურ მოსახლეობასაც აქეზებენ.

მოსალოდნელ საშიშროებასა და საფრთხეზე აკეთებს აქცენტს „ეროვნული ფორუმიც“. გუბაზ სანიკიძემ განაცხადა, რომ ეს არის რუსეთის მხრიდან მცოცავი ანექსია, რომლის წარმატებით განხორციელებას საქართველოს მთავრობაც უწყობს ხელს.

**გუბაზ სანიკიძე, „ეროვნული ფორუმის“ ლიდერი:**

— ყაზბეგი-ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნა არის ანტიქართული ქმედება. ის არ მოიტანს არც ეკონომიკურ, და, მით უმეტეს, არც პოლიტიკურ სარგებელს. ჩვენ იმის უფლებაც კი არ გვაქვს, როგორც ტრანზიტულ ქვეყანას, შევამოწმოთ რა იქნება სომხეთიდან მომავალ ტვირთებში. მაშინ ისმის კითხვა, რატომ იხსნება ეს გამშვები პუნქტი? მხოლოდ სომხეთისთვის?



იმის საფრთხე, რომ ყაზბეგის რაიონი აღმოჩნდება სრულ იზოლაციაში და უსისხლოდ მოხდება მისი ოკუპაცია, სრულიად რეალურია. თითქოს ხელისუფლება ერთი ხელით ებრძვის რუსეთს, მეორეთი კი მას ტერიტორიებს უთმობს. ეს არის ეროვნული ღირსების დაკარგვა, მცოცავი ანექსია ოსური სოუსით.

დანარჩენი პოლიტიკური პარტიების პოზიციები სავარაუდოდ ძალიან მალე გახდება ცნობილი, როგორც ჩანს, ოპოზიცია ვერც ამ საკითხზე შეძლებს საერთო აზრზე შეთანხმებას, თუმცა ხელისუფლებამ საეჭვოა თავისი გადაწყვეტილება ნებისმიერ შემთხვევაში უკან წაიღოს. ზემო ლარსი-ყაზბეგის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი კი უკვე თავის საქმეს აკეთებს.

**ანა წიწილაშვილი**

**საზოგადოება**

# თუ გინდა „არიოლ-რეშკა“ ააგდონ, ოღონდ ერთობა შედგეს

## რა სიურპრიზებს უმზადებს „ქართული აკადემია“ ალასანიას?

**დიდი მონდომების მიუხედავად, არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთობის საკითხს კიდევ მეტი კითხვის ნიშანი შეემატა. ერთობა ვერ შედგა და სავარაუდოდ, ვერც შედგება.**

ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ მთელი ოპოზიციური სპექტრი ირაკლი ალასანიას გარშემო გაერთიანდებოდა, სადაც ზურაბ ნოღაიდელისა და ლევან გაჩეჩილაძის თბილი ადგილიც იქნებოდა, თუმცა მემარჯვენეებისა და რესპუბლიკელების პრინციპულმა უარმა ეს იდეა ჩანასახშივე მოსპო.

რა იქნება ხვალ? ხვალ დედის დღეა და მთელი საქართველო დაისვენებს, აი, ზეგ კი ირაკლი ალასანიას საკმაოდ მძიმე დღე ელოდება. „ქართული აკადემიის“ ინიციატივით, 4 მარტს, ხუთშაბათს, 3 საათზე ვერის კალათბურთის დარბაზში, ალიანსის ლიდერს საზოგადოებასთან შეხვედრა აქვს დაგეგმილი.



ნუკრი ქანთარიამ ამის შესახებ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა და დასძინა, რომ ამ დღეს ჟურნალისტებს, ირაკლი ალასანიასა და, ზოგადად, საზოგადოებას სიურპრიზი ელოდება. „ბევრი კითხვა დაგვიგროვდა. ეს იქნება გარდამტეხი დღე ჩვენთვის და თავად ირაკლი ალასანიასთვის, რადგან ყველაფერს დაწვრილებით განვიხილავთ და ამის შემდეგ გადავწყვეტთ, დავუჭიროთ თუ არა მხარი მეროზის ამ კანდიდატს“.

ირაკლი ალასანიას „ენკი-ბენკი“ საკმაოდ სერიოზულ კითხვებს ბადებს. მართლაც. რისთვის მივიდა ალასანია პრაიმერის ჯგუფთან ერთად ჭადრაკის სასახლეში, ამაზე გულწრფელი პასუხის გაცემა მას აშკარად უჭირს, ყოველ შემთხვევაში, ამ ხნის განმავლობაში ბევრჯერ ეცადა, მაგრამ ვინაიდან საზოგადოება არ არის კმაყოფილი ამ პასუხით, ფაქტია, რომ მასში სიცხადე არ არის.

„რევოლუცია ჩვენს შეგნებაში უნდა დაიწყოსო“, რადგან ამბობს ალასანია, ალბათ გულისხმობს, რომ მისი პოლიტიკური გამჭრიახობისთვის ჯერ მზად არ არის საზოგადოება, ან ამის იქით კიდევ სხვა ახსნა იმალება, მაგრამ ის, რაც ხელისგულზე დევს, ლოგიკას მაინცდამაინც არ ექვემდებარება.

იმის მაგივრად, რომ ალასანია თავის ჭკუაზე გადმოეყვანათ ძიძიგურს, დავითაშვილს და მის მომხრეებს, აცხადებენ, რომ პრაიმერზე თავად უარს ამბობენ და სოციოლოგიურ გამოკითხვებს მიემხრობიან, იმას, რაც ირაკლი ალასანიას აქამდე სურდა. თუმცა ალასანიას ძველი გუნდი ამჯერად არც ამაზე არის თანახმა და მოითხოვს, ყოველგვარი კითხვისა და გამოკითხვის გარეშე უპირობოდ დაუჭირონ მხარი მათ „შეუცვლელ“ ლიდერს.

პრაიმერის მომხრეთა ჯგუფს რა პასუხი აქვს, ამის გარკვევას რამდენიმედღიანი კონსულტაცია აუცილებლად დასჭირდება. ნოღაიდელი იფიცება ოპოზიციისთვის ერთი თეთრი არ დამიხარჯავსო, მაგრამ ოპონენტებს მისი არ სჯერათ და კვლავ უცვლელი რჩება ფორმულა „ყველა — მინუს ერთი“. რა გზას დაადგება რადიკალური ნოღაიდელი, თავისი ფეხით მივა თუ არა ალიანსის ღია კართან, სადაც მის შეშვებას არავინ აპირებს, ამაზე ნოღაიდელი დუმს.

„ქართული აკადემია“ ამ პროცესებისადმი ზედმეტად მგრძნობიარეც კია, თუმცა მაინც ამბობენ, რომ მათთვის მთავარია რეალური ერთიანი კანდიდატის გამოვლენა, თუმცა რა გზით მოხდება ეს, პრაიმერით თუ სოციოლოგიური გამოკითხვით, მათთვის მნიშვნელობა ნაკლებად აქვს. თუ გინდა „არიოლ-რეშკა“ ააგდონ და ისე გადაწყვიტონ, — ამბობს ნუკრი ქანთარია.

ირაკლი ალასანია საქმის არსში გარკვეულია. მეროზის ყველაზე სასურველი და უალტერნატივო კანდიდატი, როგორც მას „ქართულ აკადემიაში“ უწოდებენ, ვერის ბალს, ალბათ, ესტუმრება. არც პასუხის გაცემა გაუჭირდება, მაგრამ იქნება თუ არა ამ პასუხებში სიცხადე და პრინციპულობა, სხვა ამბავია.

ვერის პარკში იწვევენ ყველას, როგორც რიგით მოქალაქეს და საზოგადოების წევრს და არა როგორც პარტიის წევრს ან პოლიტიკურად ანგაჟირებულ ადამიანს. „ქართულ აკადემიასთან“ ერთად შეხვედრას ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია დაესწრება, მაგრამ მოვლენ თუ არა პარტიები, ცნობილი არ არის.

**თეა მოსია**

**პრესკონფერენცია**

# თემურ შაშიაშვილი: საქართველოს პოლიცია მართავს

**ბოლო პერიოდში მსოფლიოს ყურადღების ცენტრში უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნები მოექცა. სწორედ უკრაინაში იმყოფებოდნენ ცნობილი ჟურნალისტები თუ ექსპერტები, საქართველოსთვის კი ეს არჩევნები ორმაგად საინტერესო იყო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ უკრაინა ჩვენი მეზობელია, მეორეც — ისიც „ნარევოლუციონარი“ ქვეყანაა. ჩვენი ქვეყნის არჩევანი კი უკრაინაში რატომღაც დამარცხებული აღმოჩნდა და პრეზიდენტი პრორუსულ ძალად მიჩნეული ვიქტორ იანუკოვიჩი გახდა. სწორედ კიევში, მინსკსა და ჩრდილოეთ ოსეთში ვიზიტების შედეგებზე ყურადღება გაამახვილა პრესკონფერენციაზე პარტია „თეთრების“ პოლიტიკურმა ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა და საუბარი საქართველოს მერის ხელფასით დაიწყო, რომელიც თურმე უკრაინისა და ბელორუსიის პრეზიდენტებზე ბევრად მეტ ხელფასს ღებულობს.**

კიევსა და მინსკში ყოფნისას მას უსაუბრია უცხოელი ექსპერტებისა და ჟურნალისტებისთვის. როგორც აღნიშნა, ისინი საქართველოს პოლიციურ ქვეყნად მიიჩნევენ, საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა პარლამენტში კი აგრესიულ დემაგოგიად შეაფასეს.

**თემურ შაშიაშვილი:** — საქართველოს ხელისუფლება აწარმოებს ნაციონალურ გარიგებას ხალხის ზურგს უკან, დღეს ვანო მერაბიშვილი წყვეტს ქვეყანაში ბიზნესისა თუ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ხელისუფლებასთან ურთიერთობა არავის არ სურს, რადგან აქ ყველაფერს რამდენიმე პიროვნება განაგებს. დღეს ბიზნესსა და პოლიტიკურ თამაშებს შეეწირა ქართული ურთიერთობები. ხელისუფლების ბევრ წარმომადგენელს დიდი ბიზნესი აქვს უკრაინაში, რუსეთში კი რამდენიმე მილიონერს დაუდგა ოქროს ხანა, აქედან გამომდინარე — საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს (2000 წლიდან 2013 წლამდეძ



და, აგრეთვე — ვლადიმერ პუტინს. რუსეთში ცვლილებები 2013 წლამდე არ არის დაგეგმილი. რუსეთთან კარგი ურთიერთობა აქვს, აგრეთვე, პრეზიდენტის ბიძას თემურ ალასანიას.

ამის გარდა, საქართველოს ხელისუფლება ეძებს პიროვნებას, რომელიც თბილისის მერის არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, სავარაუდოდ, ეს იქნება ვინმე გიორგი წურწუმია. და ამ ინფორმაციას ფლობენ, როგორც უკრაინაში, ასევე — რუსეთში, ინფორმაციულ ვაკუუმში ქართველი ჟურნალისტები არიან, ცნობილია, რომ ის იანვარში იმყოფებოდა საქართველოში და ჩამოსვლას 10 მარტისთვის ისევ გეგმავს. გიორგი წურწუმია იქნება ხელისუფლების არაოფიციალური წარმომადგენელი მერის პოსტის დასაკავებლად.

თემურ შაშიაშვილმა ისაუბრა ოპოზიციაზეც, მისი განცხადებით, ის ოპოზიციური პარტიები, რომლებიც გაემიჯნებიან ერთიანი კანდიდატის წარდგენას, ხელისუფლების სატელიტები იქნებიან და მის წისქვილზე დაასხამენ წყალს.

„რეალობა მძიმეა, სოციალური დემაგოგია უმრუდებს ხალხს რეალობის აღქმას. ჩვენ მხარს ვუჭერთ სახალხო შეკრებას, და ეს იქნება არა პომპეზური, არამედ საქმიანი ყრილობა,“ — განაცხადა თემურ შაშიაშვილმა.

**მერი ქურასბედიანი**

პოპური

**ძალიან მინდოდა, რომ ამ მცირე ტრაგიკომედიისთვის რომელშიც პარლამენტში პრეზიდენტის № 6 გამოსვლას და ამ გამოსვლის გარშემო გამართულ დებატებს განვიხილავ, რაიმე სერიოზული სათაური დამერქმია, მაგრამ როდესაც კიდევ ერთხელ მოვუსმინე სააკაშვილს, მის ოპონენტებსა და დამცველებს, დავრწმუნდი, რომ ამ შოუს „წარსადგენად“ ყველაზე სერიოზული ფრაზა, მულტიპლიკაციურ ფილმში „წუნა და წრუწუნა“, „იმერელი თაგვის“ მიერ ნათქვამი სიტყვების მცირე ინტერპრეტაცია იყო.**

როგორც სახელისუფლებო საინფორმაციო საშუალებებმა განაცხადეს, **საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, კონსტიტუციისა და პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ ყოველწლიური მოხსენებით წარსდგა. პარლამენტის წინაშე.**

**პრეზიდენტმა თავის მოხსენებაში ვრცლად ისაუბრა განვლილი წლების განმავლობაში საქართველოში განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე, რომელთა შორის, მისი თქმით, იყო როგორც წარმატებები, ასევე ჩავარდნებიც.**

სინამდვილეში კი ეს იყო გასული წლის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილის მიერ სხვადასხვა ადგილზე წარმოთქმული სიტყვების პოპური. სწორედაც რომ პოპური, რადგანაც ის ტექსტი, რომლითაც სააკაშვილი ქვეყნისა და პარლამენტის წინაშე წარსდგა, არანაირად არ შეესაბამებოდა „პრეზიდენტის მოხსენების“ სტანდარტულ ფორმას და ჰოლივუდის ფილმებში ნანახი, ამერიკის პრეზიდენტების გამოსვლების ცუდ რემიქსს წარმოადგენდა.

ცუდ რემიქსსო იმიტომ ვამბობ, რომ თუ ამერიკული ფილმების გმირები, მიუხედავად იმისა, რომ მხატვრული ფილმების დასკვნითი ნაწილი შოუს მოითხოვს, მაინც ლოგიკის სრული დაცვით საუბრობენ, საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლის ტექსტში კი აბსოლუტური შეუსაბამობა ისმოდა.

განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის **„სახელმწიფოებრიობის, ეკონომიკური და ფისკალური სტაბილურობის შენარჩუნებაზე, ნაკისრი სოციალური დაცვის ვალდებულებების შესრულებაზე, საბანკო სისტემის გადარჩენასა და საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებაზე“** საუბრობდა.

აბსურდია ისაუბრო ეკონომიკური და ფისკალური სტაბილურობის შენარჩუნებაზე, ნაკისრი სოციალური დაცვის ვალდებულებების შესრულებასა და საბანკო სისტემის გადარჩენაზე, როდესაც იქვე ამბობ, რომ გასულ წელს **„ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლები, ყველა პარამეტრის მიხედვით უფრო დაბალ ნიშნულებზე ჩამოვარდა, ვიდრე 2008 წლის აგვისტოში“**, როდესაც ამბობ, რომ **„დიდი დარტყმა მიადგა 100 ახალი საავადმყოფოს პროექტს“**.

აბსურდია ისაუბრო ნაკისრი სოციალური დაცვის ვალდებულებების შესრულებაზე, როდესაც ქვეყანაში მოსახლეობის 28-29 პროცენტი სიღარიბის ზღვარს მიღმაა (ბატონმა პეტრე ცისკარიშვილმა თავის გამოსვლაში განაცხადა: **„ჩვენ ჩავიბარეთ ქვეყანა, სადაც სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 50 პროცენტი იყო, დღეს კი ეს ციფრი არის 28-29 პროცენტი. ეს არის ძალიან დიდი მიღწევა, მაგრამ არა საკმარისი“).**

მაგრამ, ამ საკითხთან დაკავშირებით, თუ მაგდა ანიკაშვილის განმარტებას დავეყრდნობით **„ხშირ შემთხვევაში, ელემენტარული საოჯახო ნივთის ქონა, ხელს უშლის მოქალაქეებს მიიღონ უმწეოს სტატუსი და შესაბამისი დახმარება, რომელიც მაინც არანაირად არ არის საარსებოდ საკმარისი“**.

აბსურდია, როდესაც აცხადებ, რომ **„მოხერხდა ის, რაც ბევრ ჩვენზე განვითარებულ ქვეყანას არ გამოუვიდა –– საბანკო სისტემის სტაბილურობისა და მდგრადობის შენარჩუნება“**, მაშინ როდესაც 10 წუთის შემდეგ ამბობ: **„ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები მკვეთრად შემცირდა. უამრავმა ადამიანმა დაკარგა სამუშაო, სამსახურის მაძიებლებისთვის უფრო ბურუსით მოცული გახდა დასაქმების პერსპექტივა. ბევრი კომპანია აღმოჩნდა გაკოტრების პირას. ზოგიერთმა მათგანმა საერთოდ შეწყვიტა არსებობა. ათობით ათას ჩვენს თანამოქალაქეს გაურთულდა საბანკო ვალდებულებების მომსახურება“**.

პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ყველას: **„ჩვენი ქვეყნის ყველა პატრიოტული პარტიის, ყველა პოლიტიკური მიმდინარეობის წარმომადგენელს, იქნება ეს ხელისუფლების თუ ოპოზიციის მომხრე. ეს მადლობა ეკუთვნის მათაც, ვინც უმუშევარია ან ახლახან დაკარგა სამსახური, მაგრამ დიდი პირადი გაჭირვების მიუხედავად არ ივიწყებს საკუთარ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობებს.**

ეს მადლობა ეკუთვნის საქართველოს უკლებლივ ყველა მოქალაქეს“.

ანუ მეც და თქვენც, ჩემო ძვირფასო მკითხველო, ანუ იმ ბევრ ადამიანს, რომელსაც **„უჭირს იპოვოს მიზეზი სიხარულისა და ოპტიმიზმისთვის“**.

უღრმესი მადლობა ბატონო პრეზიდენტო!!!!

უღრმესი მადლობა, იმისთვის, რომ: **„გასული წლის 9 თვის, ანუ პირველი სამი კვარტალის განმავლობაში ჩვენი ეკონომიკა 5,.5 პროცენტით შემცირდა“. ხოლო „ეკონომიკის შემცირება 2009 წლისათვის 3 პროცენტზე მეტის ფარგლებშია“.**

დიდი მადლობა იმისთვის, რომ **„ამ კლების შედეგად, უამრავი ქართველის ცხოვრება გართულდა, ბევრის — უკიდურესად“.**

სწორედ ამისთვის დიდი მადლობა თქვენ და თქვენს ხელისუფლებას, ბატონო პრეზიდენტო!

მიხეილ სააკაშვილმა განსაკუთრებული ყურადღება კვლავ 2008-2009 წლების მთავარ გამოწვევებზე შეაჩერა.

# „ექვსჯერ რო იყო, ისთევე ის კაცი მევიდა, ბატონო“



**„განვლილი წლებიდან არც ერთი არ იყო ისეთი დრამატული, როგორც 2008 და ისეთი მძიმე, როგორიც 2009. გასული 2009 წლის სირთულე განაპირობა სამმა, ერთმანეთისაგან განსხვავებულმა, სხვადასხვა ბუნების მქონე, მაგრამ თითქმის თანაბრად დამანგრეველმა მოვლენამ. პირველი, ეს იყო რუსული ინტერვენცია, რამაც უდიდეს სახელმწიფოებრივ და ადამიანურ ტრაგედიასთან ერთად, დიდი დარტყმა მიაყენა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას. მეორე, ეს იყო, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რამაც ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში, საქართველოშიც მტკივნეული ეკონომიკური შოკი გამოიწვია და მესამე, გასული წლის აპრილი-მაისის შიდა პოლიტიკური დაძაბულობა“.**

სამწუხაროდ, პარლამენტში „დავანებული“, არც ერთი ე.წ. ოპოზიციური ფრთის წარმომადგენელს არ უთქვამს სააკაშვილისთვის, თუ ვინ „ფლობს ლომის წილს“, არა მხოლოდ „დინამიკურად მზარდ ბიზნესში“, არამედ მის მიერ ჩამოთვლილი სამი „დამანგრეველი მოვლენის“ პირველ და მესამე პუნქტებში და ვისი მთავრობის უნიათობის გამო გაჩერდა უამრავი მშენებლობა (სხვა ზარ-ზეიმით გახსნილ საწარმოებზე რომ არაფერი ვთქვა) და უამრავი ადამიანი, რომლებიც არა მხოლოდ გაჩერებულ საწარმოებში, არამედ მათზე მიბმულ ინფრასტრუქტურებშიც მუშაობდნენ.

არავის არ უთქვამს, რომ ამ ყველაფერში დამნაშავე პირველ რიგში თავად მიხეილ სააკაშვილი და მისი ე.წ. მთავრობაა.

დამნაშავეა, რადგანაც მათ:

1. თავიანთი უაზროდ აგრესიული და ცალმხრივი საგარეო პოლიტიკით მოახდინეს დაძაბულობის ესკალაცია და ქვეყანას არა მხოლოდ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც მეტად მნიშვნელოვანი ტერიტორიები დააკარგვინეს და დევნილის მდგომარეობაში აქციეს უამრავი ადამიანი.

2. ყოვლად უაზრო ეკონომიკური პოლიტიკის გამოისობით, ქვეყნის ბიუჯეტის შევსება დამოკიდებული გახდა მხოლოდ საგარეო ვალების, დახმარებებისა და ქვეყნის შიგნით არსებული ჯარიმების ხარჯზე.

3. მისმა არასახელმწიფოებრივმა მმართველობამ გამოიწვია მოსახლეობის მღელვარება, რომელიც წართმეული ღირსებისა და ცხოვრების გაუსაძლისი პირობების გამო, იძულებული გახდა ქუჩაში გამოსულიყო (სამწუხაროდ, ოპოზიციური პარტიების უნიათობამ, გათითოკაცებამ, სკამის მოყვარეობამ და, სავარაუდოდ, გარკვეული ფორმით ღალატმაც, გამოიწვია არსებული რეჟიმის შენარჩუნებაძ.

საქართველოს პარლამენტში მიხეილ სააკაშვილის გამოსვლის შესახებ აზრი თითქმის ყველა პოლიტიკოსმა გამოთქვა და მათი შეფასებები მედიის ყველა საშუალებით გავრცელდა, მაგრამ ამ შემთხვევაში მათი მოსაზრებები ნამდვილად არ არის საინტერესო.

არ არის საინტერესო თუნდაც იმიტომ, რომ პრეზიდენტის გამოსვლა პოლიტიკოსებისთვის არ იყო განკუთვნილი.

არ იყო განკუთვნილი არც ოპოზიციისთვის.

მისი გამოსვლა არც საქართველოს მოსახლეობისთვის იყო განკუთვნილი.

ახლა იკითხავთ, აბა ვის ელაპარაკებოდა დაახლოებით საათ-ნახევრის განმავლობაშიო?

იმათ მთელი იმ დროის განმავლობაში, როდესაც ლაპარაკობდა, მას სრული გულისყურით უსმენდნენ დარბაზში და თავიანთ „რვეულებში“ რაღაც ჩანაწერებს აკეთებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი შეუსაბამობა იყო როგორც პრეზიდენტის, ასევე მისი ოპონენტებისა და დამცველების გამოსვლებში, თავს აღარ შეგაწყენთ და ვიტყვი, რომ გამომდინარე იმ მარტივი ფორმულიდან, **სახელმწიფო, მხოლოდ ლამაზი დროშა და ჰიმნი არ არის (თუნდაც ყველაზე ლამაზი), ყველამ კარგად ვიცით, თუ როგორ გვაქვს შენარჩუნებული სახელმწიფოებრიობა.**

სამწუხაროდ, არ გვაქვს.

ამიტომ წავიდეთ და ჯეიმს კემერონის ფილმებს ვუყუროთ.

**გია გაბრიჭიძე**

სიტყვა, რომელიც არ ათქმევინეს

# ნაძირალების უკანასკნელი თავშესაფარი

## თავისი გარემოცვიდან პრეზიდენტს ვერავინ ვერ ეუბნება სიმართლეს



*ამ სიტყვის წარმოთქმას ვაპირებდი 26 თებერვალს პარლამენტის სხდომაზე პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ გამართულ დებატებზე. დამოუკიდებელ დეპუტატებს ასეთ დებატებზე 5 წუთზე მეტი დრო არ ეძლევათ. მე სიტყვა საერთოდ არ მომცეს.*

შვიდი თვე გავიდა ამ დარბაზში ანალოგიურ ვითარებაში ჩემი გამოსვლის შემდეგ. ამ შვიდ თვეში ჩვენი სახელმწიფოსა და ერის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა, რეჟიმის ავტორიტარულობის და კორუმპირებულობის დონე კი მნიშვნელოვნად გაიზარდა. რეჟიმის ბირთვს დღეს მთელი ერისათვის კორუფციის სიმბოლოებად ქცეული ადამიანები შეადგენენ. ბიზნესის გაკონტროლებამ, მეწარმეებისაგან ფულისა და ქონების გამოძალვამ ტოტალური ხასიათი მიიღო. საქართველო შეყვანილია არშემდგარი სახელმწიფოების სიაში და ამის მთავარ მიზეზებად ექსპერტები რეჟიმის ხელმძღვანელთა კორუფციას და დამოუკიდებელი სასამართლოების არარსებობას ასახელებენ. სწორედ კორუფციის, ინვესტორთა დაფრთხობის, მეწარმეთა შევიწროების და არა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგია ჩვენი ეკონომიკის სწრაფი ვარდნა და უმუშევრობის ზრდა. ექსპერტები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ამ გზაზე ქართულ ეკონომიკას კატასტროფა ელის.

მსოფლიოს წამყვანი გამოცემები წერენ, რომ საქართველოს სამ უდიდეს ტელეარხს მთლიანად აკონტროლებს რეჟიმი. „იმედი“ რომ არ დაგვეხურა, ძალაუფლებას ვკარგავდით“, — მშრალად მითხრა ვანო მერაბიშვილმა, ზედმეტ სახელად „მონსტრმა“, წერს იულია ლატინინა. იმასაც დავუმატებ, რომ 2008 წლის აგვისტოს ავანტიურასაც ვერ განახორციელებდა სააკაშვილი, „იმედი“ რომ არ დაეხურათ. ადამიანის უფლებების დარღვევებზე ლაპარაკს აქ არც შევუდგები. მთელ მსოფლიოში საბოლოოდ დამკვიდრდა საქართველოს პრეზიდენტის, როგორც არაადეკვატური ადამიანის იმიჯი. ისეთი აბსურდული მოვლენები, როგორიცაა ქუთაისში მემორიალის აფეთქება ან უკრაინაში არჩევნებზე 2 ათასზე მეტი „ბრძოლისუნარიანი“ კაცის გაგზავნა, უკვე რუტინად აღიქმება, ისევე, როგორც პრეზიდენტის რეგულარული, არაადეკვატური გამოსვლები. ისმის კითხვა – რას აკეთებს ამ დროს პრეზიდენტის გარემოცვა? რატომ უშვებენ ამას? ქვეყნის ინტერესებზე რომ არაფერი ვთქვათ, ამით ხომ სწრაფად იჭრება ის ტოტი, რომელზეც თვითონ სხედან. პასუხი მარტივია: სწორედ კორუფცია არის მიზეზი იმისა, რომ შეიკრა მანკიერი წრე და უშუალო გარემოცვიდან პრეზიდენტს ვერავინ ვერ ეუბნება სიმართლეს საკუთარი თანამდებობის დაკარგვის შიშით.

იხ. 4 გვ.

◉ სიტყვა, რომელიც არ ათქმევინეს

# ნაძირალების უკანასკნელი თავშესაფარი

(მესამე გვერდიდან)

ისევ და ისევ გარემოცვა ღუპავს მორიგ პრეზიდენტს, პრეზიდენტი კი ისეთ გარემოცვას ქმნის თავის გარშემო, რომელიც მერე ღუპავს მას.

„ეს ომი არ უნდა მომხდარიყო. ეს შეიძლებოდა არ მომხდარიყო. ჩვენ გვქონდა იმის საშუალება, რომ აგვერიდებინა თავი ამ მოვლენებისათვის. როცა გემი ზღვაში მიდის, კაპიტანმა უნდა იცოდეს სად არის წყალქვეშა კლდეები, რომ არ შეეხეთქოს. ჩვენ გვხვდებოდა და გვხვდება კედელი და თავით ვეხეთქებით ამ კედელს“. აი სიტყვა-სიტყვით ის, რაც მაქსიმალური დელიკატურობით თქვა საქართველოს პატრიარქმა ილია II შარშან შემოდგომაზე. რეჟიმის ინტერესებში კი შედის, რომ ჩვენ ყველანი კედელს ვეხეთქებოდეთ მუდამ. ცხადია, სწორედ კორუფციაა მიზეზი ცრუპატრიოტული ისტერიის მცდელობისა. დიდი მოაზროვნის სემუელ ჯონსონის აზრით, ცრუპატრიოტობა ნაძირალების უკანასკნელი თავშესაფარია. მოსწავლე ახალგაზრდების ბინძურად გამოყენებასაც აღარ ერიდებიან, რაც რეჟიმების აგონიის ნიშანია ხოლმე. რუსეთთან დამაკავშირებელი რკინიგზა რომ მუშაობდეს, ალბათ იმასაც გადაკეტავდნენ კრემლის „მუხლებზე დასაჩოქებლად“, სინამდვილეში კი ხალხის ყურადღების გადასატანად, თვითონ კი უპრობლემოდ გააფორმებდნენ ოკუპანტებთან საიდუმლო ხელშეკრულებას ენგურჰესის თაობაზე. დიდი პატივისცემით მინდა ვთქვა, რომ ხალხი არ ტყუვდება. „არც ევროპა და არც ამერიკა არ იმეგობრებენ ჩვენთან, თუ რუსეთთან ურთიერთობა არ მოვაგვარეთ“, — აი რას გვეუბნება ჩვენი ხალხი. ისიც ესმის ყველას, რომ ვერ დავიწყებთ დიალოგს ჩვენს აფხაზებთან და ჩვენს ოსებთან მანამ, სანამ არ დავიწყებთ დიალოგს და რაღაც დონეზე არ მოვაგვარებთ ურთიერთობას რუსეთთან. ჩვენი დიასპორის მონაცემებით, მილიონზე მეტი, ანუ პრაქტიკულად ყოველი მეოთხე ქართველი ცხოვრობს დღეს რუსეთში, ბევრი მათგანი იქიდან ეხმარება აქ დარჩენილ ოჯახის წევრებს და ნათესავებს. ჩვენ უნდა მივაღწიოთ რუსეთთან თავისუფალი მისვლა-მოსვლის აღდგენას, ჩვენი პროდუქციის გატანას რუსეთის ბაზრებზე, დავიწყოთ დიალოგი აფხაზებთან და ოსებთან და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ შევქმნათ საქართველოს გამთლიანების სამომავლო პერსპექტივა. ეს ყველაფერი კარგად ესმის ჩვენს ხალხს და რეჟიმის ისტერიკული მცდელობა მოღალატეებად გამოაცხადოს სწორედ ის ადამიანები, ვისაც ეყო ვაჟკაცობა და ვინც ერისა და სახელმწიფოსათვის აუცილებელ საქმეს აკეთებს, სრული კრახისთვისაა განწირული. საერთოდ, განვლილ პერიოდში, ისევ და ისევ დამტკიცდა, რომ არსებული რეჟიმისა და მთლიანად მართვის სისტემის შიგნით არ არსებობს ძალა, რომელსაც შეუძლია გარდატეხა შეიტანოს შექმნილ ვითარებაში და გადაარჩინოს ქვეყანა. ამ რეჟიმს არავითარი პერსპექტივა არ აქვს და როგორიც არ უნდა იყოს სადღეისოდ მისი ფინანსური და ძალოვანი რესურსი, ის არსებითად პოლიტიკურ გვამს წარმოადგენს. ტყუილით და პიარაქციებით სახელმწიფოს მართვის დრო იწურება.

დაბოლოს. რეჟიმის ხელმძღვანელებს და მათ მსახურებს, დღევანდელ ლევან მამალაძეებს შევახსენებ, რომ აქ ბრალს მე ვდებ და პასუხისმგებლობის საკითხს მე ვაყენებ. სხვადასხვა დროს დავიმსახურე თენგიზ კიტოვანის, ჯაბა იოსელიანის, იგორ გიორგაძის, ასლან აბაშიძის და სხვა მათნაირების „რისხვა“. ზოგი მათგანი ლანძღვის გარდა მუქარასაც არ ერიდებოდა. კარგად მახსოვს, რა ისტერიკა ატეხეს ზოგიერთებმა პარლამენტის დარბაზში 1995 წლის 29 აგვისტოს, როდესაც სხვებთან ერთად აფეთქებას გადავურჩი და ხელი დავადე აფეთქების მომწყობთ. ცხადია, არც ბოლოდროინდელი ცილისწამება არ მაკვირვებს. ჩვენს ხალხს ვპირდებით, რომ კანონის სრული სიმკაცრით დაისჯებიან რეჟიმის ის ხელმძღვანელი პირები და მათი მსახურები, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი. ეს არ იქნება პოლიტიკური ანგარიშსწორება. მათ განაჩენს ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და ობიექტური სასამართლო გამოუტანს. ამისათვის ყველაფერს გავაკეთებთ. ასევე ყველაფერს გავაკეთებთ დემოკრატიის განმტკიცებისათვის, ჩვენს ქვეყანაში სამართლიანობის, ერთიანობისა და კეთილდღეობის დამყარებისათვის.

**პეტრე მამრაძე,**
პარლამენტის წევრი,
მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსათვის“

◉ „შავსათვალიანი“ ოპოზიცია



ბატონო მიხეილ, უკვე მეექვსე წელი დაიწყო, რაც თქვენ ქვეყნის განვითარებაზე ნომერ პირველი პასუხისმგებელი პირი ბრძანდებით და მწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ ქვეყანა, რომელიც თქვენ ჩვენი მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა განდოთ, სახელმწიფოდ ვერ ჩამოაყალიბეთ.

თქვენ ხართ პრეზიდენტი ოთხმილიონიანი ქვეყნისა, სადაც მილიონამდე ადამიანი ოფიციალურად ღატაკის მოწმობას ატარებს ჯიბით, ხოლო კიდევ ერთ მილიონს მხოლოდ იმიტომ არ აქვს ეს ოფიციალური სტატუსი, რომ მთავრობის აგენტებმა მათ სახლში შავ-თეთრი ტელევიზორი ან რამდენიმე ცალი კვერცხი აღმოუჩინეს.

ექვსი წლის განმავლობაში თქვენ არათუ ვერ მოახერხეთ და მცირედით მაინც ვერ შეამცირეთ ღატაკთა რიცხვი საქართველოში, პირიქით, არასწორი და შეცდომებით აღსავსე სოციალ-ეკონომიკური პოლიტიკით ასობით ათასი ადამიანი დაუმატეთ ღარიბთა და უმწეოთა არმიას.

## „იქნებ ის მაინც მოახერხოთ, რომ თქვენს შემდეგ ქვა ქვაზე მაინც დატოვოთ, რათა ქვეყანა საქართველოსგან მომავალში ღირსეული სახელმწიფო ავაშენოთ“...

### პარლამენტარ გიორგი ახვლედიანის სიტყვა პარლამენტში 26 თებერვალს

თქვენ და თქვენმა გუნდმა, ქვეყნისგან ვერ შექმენით სახელმწიფო და ამის ნათელი მაგალითია ის, რომ სა-



ქართველოში მცხოვრები 800 ათასი პენსიონერი პენსიის სახით იღებს იმის ნახევარ თანხას, რაც მისი ფიზიკური გადარჩენისთვის საარსებო მინიმუმის სახით არის საჭირო.

თქვენ ვერც თქვენი ყბადაღებული დაპირება შეუსრულეთ პენსიონერებს პენსიის 100 დოლარამდე გაზრდის თაობაზე და უფრო მეტიც: პენსიონერთა ორ მესამედს, რომელიც დედაქალაქის გარეთ ცხოვრობს, ღირსება შეულახეთ, როცა თქვენს მიერ დანიშნულ დედაქალაქის მერს და მთავრობას უფლება მიეცით დაეყოთ პენსიონერები თბილისელებად და არათბილისელებად, ათლარიანი დანამატის ღირსებად და უღირსებად.

მეექვსე წელია, პირადად თქვენ, ბატონო მიხეილ გვიმტკიცებთ იმას, რომ თქვენი წინამორბედის მიერ შეუსრულებელი ყველა ვალდებულება და დავალიანება რევოლუციურმა ხელისუფლებამ მოსახლეობას დაუფარა. თქვენ კი გვიმტკიცებთ, მაგრამ რა ვუყოთ 1998-2000 წლებში წარმოქმნილ იმ 70-მილიონიან დავალიანებას, რომელიც ასობით ათას ჩვენს მოქალაქეს არ აუღია და ხანდაზმულობის ვადის გამო კუთვნილი ხელფასის მისაღებად სასამართლოში ჩივილსაც აზრი აღარ აქვს. ამას უკვე პიარ-ტყუილიც აღარ ჰქვია, ეს უკვე საკუთარი მოსახლეობისთვის თვალებში ნაცრის შეყრის უსუსური მცდელობაა და სხვა არაფერი.

ბატონო მიხეილ, თქვენ არათუ ვერ შექმენით სახელმწიფო ამ ექვს წელიწადში, ქრისტიან-დემოკრატები თქვენში ამის პოლიტიკურ ნებასაც კი ვერ ვხედავთ.

მეორე წელია ყოველდღიურ რეჟიმში ვითხოვთ თქვენგან იმ უსამართლობის აღმოფხვრას, რაც თქვენმა ხელისუფლებამ ძალოვანი სტრუქტურის 50 ათასი პენსიონერის მიმართ დაამკვიდრა. თქვენ არ გყოფნით ნება აღადგინოთ სამართლიანობა, სამაგიეროდ გყოფნით სიჯიუტე არ აღადგინოთ კანონში გადაანგარიშების მუხლი, გყოფნით სიჯიუტე ოცდაათი წლის სტაჟის მქონე ოფიცრებს ხუთ და ათლარიანი სამარცხვინო კომპენსაციები მიუგდოთ.

თქვენი მთავრობა ამ საკითხების განხილვის დროს მუდამ უფულობაზე ტირის, მაშინვე ეკონომიკური კრიზისი და აგვისტოს ომი ახსენდებათ. ქრისტიან-დემოკრატებმა ესეც გავითვალისწინეთ და პრობლემის მოგვარების ეტაპობრივი გრაფიკიც შემოგთავაზეთ, ამასაც არ თანხმდებით და წამითაც არ გახსენდებათ, რომ დღეს თქვენს მიერ „ჩარეცხილი“ ეს ათასობით ადამიანი ექვსი წლის წინათ რევოლუციურ ავანგარდში გედგათ გვერდით, რაც საბოლოოდ სანანებელი გაუხადეთ მათ.

მეორე წელია თქვენი მაღალი ყურადღება ვერ მივაპყარით ჩვენი საზოგადოების ყველაზე დამსახურებული 8 ათასი ადამიანისკენ, რომლებსაც მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები ჰქვიათ და რომლთაგან ბევრისთვის წლევანდელი 65-ე 9 მაისი შესაძლოა უკანასკნელიც კი აღმოჩნდეს. სამწუხაროდ თქვენ აღმოჩნდით ის ხელისუფლება, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მეორე მსოფლიო ომის ქართველი ვეტერანი მსოფლიოში დღეს ყველაზე გაჭირვებულ და დაუფასებელ მდგომარეობაშია. ეს უკვე მხოლოდ პრობლემა აღარაა, ეს უკვე ქვეყნის სირცხვილია, სირცხვილი, რომელიც თქვენი გაუაზრებელი პოლიტიკის შედეგია.

თქვენ ვერასდროს გახდებით ღირსეული სახელმწიფოს პრეზიდენტი, რადგან თქვენ არ გაინტერესებთ ის, რაც რეალურად აწუხებს მოსახლეობას. ერთხელაც არ გაგიხედიათ ჭიათურისკენ, სადაც უკვე მეორე წელია, რეგრესის პენსიონერები, ინვალიდი და წარმოების შედეგად დაზარალებული ადამიანები კარვებში სხედან და კანონით მინიჭებულ კომპენსაციებს ითხოვენ.

ღირსეული სახელმწიფოს აშენება იმიტომაც არ გამოგდით, რომ თქვენი ხელისუფლება მზადაა ყოველ ფეხის ნაბიჯზე მოატყუოს თავისი მოქალაქეები, ისევე, როგორც ამას აჭარაში, კერძოდ კი ადლიაში აკეთებთ. ჯერ წინასაარჩევნოდ, ყველას მათივე მიწის ნაკვეთები დაუსაკუთრეთ, არჩევნების შემდეგ კი ექსპროპრიაცია გამოუცხადეთ და იმასაც კი კადრულობთ, რომ მეპატრონეს აიძულებთ 67 ლარად გაყიდოს კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, მაშინ როცა ის 800 დოლარი ღირს.

თქვენ, ბატონო მიხეილ, როგორც ჩანს, საკუთარი ნებით ამბობთ უარს, იყოთ ათასობით დევნილი ადამიანის პრეზიდენტიც, სხვაგვარად გაუგებარია, რატომ არ ხვდება თქვენს მგზნებარე სიტყვებში ის პრობლემა, რომ აგერ უკვე 18 თვეა თქვენმა მთავრობამ ვერა და ვერ გაარკვია ვინ არის ამ ქვეყანაში დევნილი და ვინ არა, ვის ეკუთვნის დევნილის სტატუსი და ვის არა. იქნებ დღეს მაინც გასცეთ პასუხი კითხვაზე: როდის მიიღებს კოდორიდან და ახალგორიდან დევნილი 1200-მდე ოჯახი დაპირებულ კომპენსაციას საცხოვრებელი ფართის შესაძენად, და, ბოლოს და ბოლოს, როდის დასრულდება ამ ქვეყანაში დევნილების დაყოფა ძველ და ახალ, შევარდნაძის და სააკაშვილის დევნილებად. ესეც მორიგი მაგალითია იმისა, რომ თქვენ ქვეყნის სახელმწიფოდ ჩამოყალიბების უნარი არ გაგაჩნიათ.

ის, რომ პრეზიდენტს და მთავრობას ქვეყანაში არსებული უმძიმესი სოციალური ფონი მეასეხარისხოვნად მიგაჩნიათ, თქვენს მიერ შემოტანილი და თქვენს მიერვე დამტკიცებული ბიუჯეტიდან ჩანს, სადაც ჯანდაცვაზე და განათლებაზე გამოყოფილი თანხები ორჯერ ნაკლებია, ვიდრე ძალოვანი სამინისტროების ხარჯები, ხოლო ქვეყნის ნომერ პირველი პრობლემა — უმუშევრობა ბიუჯეტის შემდგენლებს, როგორც ჩანს, არც გახსენებიათ.

ჯანდაცვის თემას შევეხე და იქნებ შესულიყავით პოლიციის ნებისმიერ შენობაში და შემდეგ ასობით გაპარტახებულ რომელიმე საავადმყოფოში და ნათლად დაინახავთ, რომ თქვენ და თქვენი ხელისუფლება სოციალურად დაცულ სახელმწიფოს არ აშენებთ.

ინვესტორების მოზიდვაზე საუბარი და მათი საქართველოთი დაინტერესება კარგია, მაგრამ იქნებ იმ ხელშეკრულებებითაც დაინტერესებულიყავით, მათ რომ უფორმებთ. იმიტომაც ვერ ყალიბდება ჩვენი ქვეყანა სახელმწიფოდ, რომ მთავრობას ინვესტორთან ხელშეკრულების გაფორმებისას თავისი მოქალაქეების ინტერესები არ ახსენდება.

საინტერესოა, თუ იცოდით საერთოდ, რომ ენერგო-პრო ჯორჯია კოლექტიური მრიცხველებით ქართული სოფლების გამწარებას 2017 წლამდე აპირებს და მხოლოდ ქრისტიან-დემოკრატების ორწლიანი ბრძოლის შედეგად ხერხდება ის, რომ ინვესტორი იძულებულია სოფლების ნაწილის გამრიცხველიანება წელსვე დაიწყოს.

იხ. 6 გვ.

მთავარი თემა

# ცოდვილთა სალაყბოს ტრაგიკული თავგადასავალი

***მსოფლიოს იმ ქვეყნებში, რომლებსაც საქართველოს ბედი ასე თუ ისე აინტერესებთ, კარგა ხანია პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არაადეკვატურად, ანუ, ჩვენდა სამარცხვინოდ, სასაცილოდ აღიქმება.***

***აშკარაა, რომ კიდევ ერთხელ დაგვსაჯა უფალმა ჩვენი ინერტულობისთვის, პარტიებად და ალიანსებად დაყოფისთვის, ერის წარსულისა და დღევანდელობის დაკნინებისთვის, გათითოკაცებისთვის, სიყალბისთვის, ცრუპატრიოტიზმისთვის, ამბიციურობისა და ელემენტარული უზნეობისთვის.***

***„ყველა ყრუი, ყველა ცრუი“...***

ამ მიუტევებელი ცოდვებისა და გარეშე მტრის შეუფასებლობის გამო სრულიად სამართლიანად გვსჯის მამაზეციერი... ოცდამეერთე საუკუნეში(!ძ არნახულად დაკნინდა და დაიმცრო ქართული სახელმწიფოს სული და სხეული, გაჩანაგდა ჩვენი არსებობის საფუძველთა საფუძველი – სოფელი, ორჯერ შემცირდა ქართული მოსახლეობის შობადობა, საზღვარგარეთ გაიკრიფა შრომისუნარიანთა დიდი უმრავლესობა... და არ გეგონოთ, რომ ჩვენი მოქალაქეები მხოლოდ იმიტომ მიდიოდნენ საბერძნეთსა თუ ამერიკაში, რუსეთსა თუ გერმანიაში, რომ სამშობლოში ლუკმაპურს ვერ შოულობენ, არა – **ქართველობა ვერ ეგუება ხელისუფლების, უპირველეს ყოვლისა, პრეზიდენტის მხრიდან მოსახლეობის აბუჩად აგდებას, თვალებში ნაცრის შეყრას, უაზრო ბაქი-ბუქს, ტყუილს, ტყუილს, ტყუილს!**

გუშინწინ, 28 თებერვალს, სამების საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საკვირაო წირვისას, კიდევ ერთხელ მოუწოდა საზღვარგარეთ გადახვეწილ ქართველებს: **მე მესმის თქვენი, მაგრამ მარტოოდენ გაჭირვების გამო ქართველ კაცს არასოდეს მიუტოვებია მშობლიური მიწა-წყალი. არ დაგავიწყდეთ, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა! ჩვენ აუცილებლად გადავრჩებით, ამიტომაც მამაშვილურად გთხოვთ, გემუდარებით, დაბრუნდით უკან!..**

უწმინდესმა და უნეტარესმა მეტი რაღა უნდა ქნას. მისი ქადაგებანი და პრაქტიკული მოღვაწეობა ერთადერთი იმედია ხელისუფლების უგუნურებისგან გაოგნებული ხალხისთვის, მაგრამ... იმავე ხალხისთვის **უმძიმესია მთავრობის წარმოუდგენელი უსუსურობის შეგრძნება, ელიტარული კორუფციის გაპარპაშება, წლების განმავლობაში ბიჭ-ბუჭების მმართველობის თანამდევი სიმახინჯეების ცქერა. ამას ვერ უძლებს ხალხი და ნერვებდაწყვეტილი, მორალურად განადგურებული მიდის ბედის საძიებლად, იქნებ ამაყი სული გადაირჩინოს, იქნებ დროებით განერიდოს ამ ტაკიმასხარების პარადს.**

თუ ამ თვალთახედვით გავაანალიზებთ ჩვენს ეროვნულ ტრაგედიას, ერთ ძველისძველ სიბრძნეს „მივადგებით“: წიგნთა წიგნი ბიბლია, ესაია წინასწარმეტყველის ენა-პირით გვასწავლის, რომ თუ ჭკვიანად არ მოიქცევით, **„სარდლებად ბიჭ-ბუჭებს დაგიდგენთ და ქარაფშუტები იბატონებენ თქვენზე. დაითრგუნება ხალხი, კაცი კაცს დაჩაგრავს, მოყვასი – მოყვასს; ბავშვი გაუმედიდურდება მოხუცს, უღირსი – პატივდებულს“...**

მოდი და ნუ გაოცდები... ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია. თანაც, რა ზუსტი და პრინციპული გაფრთხილებაა.

ყველაზე დამთრგუნველი მაინც ის არის, ბავშვი რომ გაუმედიდურდება მოხუცს, უღირსი – პატივდებულს... გეტყვით გულისწყრომით: **ნონა გაფრინდაშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ მელვინეთუხუცესი, გიგა ლორთქიფანიძე, თემო გოცაძე, გოგი ქავთარაძე, ნოდარ მგალობლიშვილი, ნინელი ჭანკვეტაძე, „ქართულ აკადემიაში“ გაერთიანებული მთელი ელიტა, ერის გონი და სინდისი რომ შემოგძახებთ, საკუთარი გარემოცვიდან თქვენთვის ერთ დროს ყველაზე ძვირფასი „ქართველი რკინის ლედი“ ნინო ბურჯანაძე რომ დაგიპირისპირდებათ, ირაკლი ოქრუაშვილი, ირაკლი ალასანია, სოზარ სუბარი, კიდევ ათეულობით ათასი ირაკლი, ნინო, შალვა, თინა, კობა, კახა, გიორგი მთელი ორი თვე ქუჩაში რომ გამოვა და ადეკვატური მოქმედებისკენ მოგიწოდებთ, რა ნამუსით პასუხობთ მათ ცინიკური ღიმილით და ყალბი ფრაზით – ჩვენ კანონიერად არჩეული ხელისუფლება ვართ და ვერასდიდებით ვერ ჩამოგვშლითო!..**

ნუთუ მართლა ვერ ხვდებით, ბატონო პრეზიდენტო და ჩვენი ხალხისთვის სულზე უტკბესო ნაციონალებო, რომ თუ კიდევ დიდხანს (თუნდაც ორი-სამი წელიწადი!ძ გაგრძელდება ასე, საქართველოს მოსახლეობის შოკიდან გამოყვანა თითქმის შეუძლებელი იქნება? არადა, შოკირების, ერის გამოთაყვანების პროცესი კარგა ხანია დაწყებულია.

სულ ახალი მაგალითი ინებეთ: სამიოთხი დღეა ვერ გამოვსულვარ შოკიდან გასულ პარასკევს პარლამენტის საგანგებო სხდომაზე პრეზიდენტის კიდევ ერთი




არაადეკვატური გამოსვლის და განსაკუთრებით მისი პოლიტიკური ამხანაგების – გოკა გაბაშვილის და პეტრე ცისკარიშვილის ასე ძალუმად გადმოფრქვეული საპოლემიკო ნიჭის გამო.

გაგაცნობთ რამდენიმე ამონარიდს პრეზიდენტის მეექვსე საპარლამენტო გამოსვლიდან:

„ამ წლების განმავლობაში იყო შეცდომები, იყო უამრავი საერთო წარმატება, თუმცა იყო დიდი განსაცდელი. განვლილი წლებიდან არც ერთი არ იყო ისეთი დრამატული, როგორც 2008 და არც ერთი ისე მძიმე, როგორც 2009. გასული 2009 წლის სირთულე განაპირობა სამმა თანაბრად დამანგრეველმა მოვლენამ. პირველი ეს იყო რუსული აგრესია, ინტერვენცია, შემოჭრა, რამაც უდიდეს სახელმწიფოებრივ და ადამიანურ ტრაგედიასთან ერთად, დიდი დარტყმა მიაყენა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას. მეორე ეს იყო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რამაც საქართველოშიც მტკივნეული ეკონომიკური შოკი გამოიწვია და მესამე – გასული წლის აპრილ-მაისის შიდა პოლიტიკური დაძაბულობა, რომლის დროსაც ჩვენი ეკონომიკური მაჩვენებელი, ყველა პარამეტრით, უფრო დაბალ ნიშნულზე ჩამოვიდა, ვიდრე 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდში და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს. ამ სამივე მოვლენამ ცუნამივით გადაუარა ახლად ფეხზე დამდგარ ეკონომიკას... მაშინ, როცა მთავრობას 24-საათიან რეჟიმში უნდა ემუშავა ომისა და მსოფლიო კრიზისის შედეგების აღმოსაფხვრელად, დედაქალაქის ცენტრი პარალიზებული იყო გალიებით. ეს გალიები იყო თუ, ვისაც უნდა საკნები უწოდოს, ჩემთვის ორივე ერთნაირად საძაგელია“...

გამოდის, რომ ეკონომიკის ჩავარდნის მთავარი მიზეზი მაინც თბილისის ერთ ქუჩაზე გალიების დადგმა ყოფილა. კი მაგრამ, ბატონო პრეზიდენტო, თუ ვერ იმუშავეთ, ეკონომიკა ჩავარდა და დღევანდელი მონაცემებით მხოლოდ დაღმასვლის შეჩერება მოხერხდა, მაშინ რანაირად არის საქართველოს ეკონომიკის განვითარების ტემპი მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი? სად არის მზარდი ეკონომიკა? რომელი სერიოზული ქარხანა მუშაობს? რატომ დგას ნულზე ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მთავარი დარგი – ბინათმშენებლობა? რატომ გეშინიათ ნამახვანში ჰესის მშენებლობის დაწყებისა? სად წავიდნენ ჩვენი აღიარებული ჰიდრომშენებლები?

**„ნამახვანში ჰესის მშენებლობაზე არ ვიცი საიდან უნდა მოვიყვანოთ ამდენი კვალიფიციური ადამიანი, იმერეთისა და რაჭის რეგიონში, მშენებლობა უახლოეს წლებში(!) პრაქტიკულად იწყება, ეს იქნება ძალიან დიდი საკითხი, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ პრობლემები მოგვარებულია, არ ნიშნას, რომ გვაქვს საფუძველი, რომ მივეცეთ რაიმე სახის კმაყოფილებას. დღეს ძალიან ბევრ ქართველს უჭირს, ეს გაჭირვება უფრო მტკივნეულად შეიგრძნობა საქართველოს რეგიონებში. რა თქმა უნდა, ძალიან დიდი სიღარიბეა სოფლებში. დავდივარ ხშირად და ხანდახან გაოგნებული ვარ, ამ წლების განმავლობაში ფიზიკურად როგორ დასუსტდა ხალხი, ჩვენი გენოფონდი. ეს იგრძნობა ბევრ ადგილებში, როგორ ცუდად აცვია ხალხს ბევრგან, სამწუხაროდ“,** – აღიარა სააკაშვილმა!

თუ ეს ასეა **(ცოტა უფრო უარესადაცაა!)**, მაშინ სად მიდის ერთ სულ მოსახლეზე სამჯერ გაზრდილი შემოსავლები; ბიზნესის, ინვესტიციების მოზიდვით მსოფლიოში საუკეთესო პირობებით მოზიდული თანხები?

კიდევ ერთი „მთავარი“ ციტატა:

**...„რა თქმა უნდა, ყოველთვის იშოვი ქართველს, რომელიც მოისყიდება, მოსყიდვადია(!). რა თქმა უნდა, ყოველთვის იშოვნი ქართველს, რომელსაც ღირსება არ გააჩნია. რა თქმა უნდა, ყოველთვის იშოვი ასეთ უღირს ადამიანს, რომელიც მოვა და შენს ბინძურ ჩექმებს, რომელიც ამოგანგლულია დაპყრობილი ერების სისხლში, მათ შორის ქართველების სისხლში, ასობით ათასი, თუნდაც ბოლო საუკუნეში განადგურებული ქართველების სისხლში. რა თქმა უნდა, ყოველთვის იპოვი ისეთ ქართველს, რომ მასაც არ მოხვდეს თავში, მოვა და აგილოკავს მაგ ჩექმებს, შეეცდება ეგ სისხლი მოგწმინდოს და გაგათეთროს დანარჩენი მსოფლიოს თვალში“...**

ამ სასაცილო და ერთდროულად სატირალი წინადადებით კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ ჩვენი პრეზიდენტი იმდენად გაბედული და არაადეკვატური შეფასებების ოსტატია, სავარაუდოა, რომ ეს შეუვალი „სიბრძნე“ მარტოოდენ ზურაბ ნოღაიდელს, პეტრე მამრაძეს და პუტინის სატელიტ ქართულ პარტიებს არ ეკუთვნოდეთ. მოღალატე და „მოსყიდვადი“ სხვაც ბევრია, მაგალითად, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მიზეზების ერთ-ერთი მთავარი შემფასებელი ქალბატონი **ტალიავინი**, რომელიც ერთმნიშვნელოვნად წერს, რომ, მიუხედავად რუსეთის მხრიდან წინასწარი გამოწვევებისა და ავანტიურისა, **ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები დაიწყო სააკაშვილის მიერ ცხინვალის მასირებული დაბომბვით!**

ეს მშვენივრად იცის ნატოს ახალმა გენერალურმა მდივანმა **ანდრეს რასმუსენმაც** და ქართულ მხარეს **რუსეთთან რაღაც ფორმით საუბრის (მოლაპარაკების) დაწყებისკენ მოუწოდებს**, მიხეილ სააკაშვილი კი მხოლოდ ცარიელი სიტყვებით ბაქიბუქობს: **„საქართველო არის ამაყი შვილების ქვეყანა, საქართველომ გადააბიჯა იმ ზღვარს, გაიჭრა თავისუფლებისაკენ და მიუხედავად მუქარისა, აღარასოდეს დაიჩოქებს“.**

**მდააა! აგვისტოს ომში ჩვენი „ბრწყინვალე, გამარჯვება“ გახსოვთ? ჰოდა, რა გითხრათ, ძვირფასო მკითხველო, ჩემს ჟურნალისტურ პრაქტიკაში მსგავსი რეაქტიული წინადადების შეფასების უნარი ჯერ არა მქონია!**

**საქმე ბევრად უფრო ცუდადაა, ვიდრე თითოეულ ქართველს და თვით პრეზიდენტს წარმოუდგენია...**

* * *

საპარლამენტო ოპოზიციის წევრებმა, „ქრისტიან-დემოკრატებმა“ – მაგდა ანიკაშვილმა, გიორგი ახვლედიანმა და გიორგი თარგამაძემ სრულიად დამაჯერებლად შეახურეს პრეზიდენტი და მისი მორჩილი გარემოცვა. საპასუხო სიტყვებში პეტრე ცისკარიშვილმა და გოკა გაბაშვილმა სულ მატყუარები, დემაგოგები და არაადეკვატურები უძახეს კოლეგა-პარლამენტარებს. არადა, არც ერთს, – არც პეტრეს, არც გოკას, არც მიშას არ უპასუხნიათ ხალხისთვის მეტად საინტერესო ელემენტარულ შეკითხვაზე: **რატომ ღირს საქართველოში ასე ძვირი ბუნებრივი აირი და ელექტროენერგია, როცა ჩვენს სამეზობლოში – სომხეთსა და აზერბაიჯანში ის ბევრად ნაკლებია და ხალხის ეკონომიკურ შესაძლებლობებს არის მორგებული? რატომ არის საქართველო არშემდგარ სახელმწიფოთა სიაში შეყვანილი და რატომ ვერ ახერხებს პრეზიდენტი სასამართლო რეფორმის რეალურად განხორციელებას? რატომ უმალავთ ხალხს და მსოფლიოს ქვეყნის ნამდვილ სახეს და რატომ უსვამთ ფერუმარილს ძონძებში გახვეულ საქართველოს?** – და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ.

წარმოუდგენელია, რა იყო აქ პეტრე ცისკარიშვილისა და გოკა გაბაშვილისთვის საკამათო? ამ უკანასკნელმა „მჭევრმეტყველების“ ისეთი ტალანტი გამოავლინა, პრეზიდენტი აღფრთოვანდა და გოკა გაბაშვილის პარლამენტში საპოლემიკო „ხელოვნების ნიმუშების“ წიგნად გამოცემა ინატრა.

თუ ასეთი წიგნი მართლაც გამოვა, ძვირფასო გოკა, მასში პირველ არხზე შევარდნაძისდროინდელი – რუბრიკით „დრო“ – დაუვიწყარი გამოსვლები – „ივერია გაბრწყინდება!“ შეიტანეთ.

განსაკუთრებით მომეწონა პეტრე ცისკარიშვილის აბდაუბდა ქართულით დაღდასმული წინადადებები. მაგალითად, ასეთი: **„ახლა თქვენ ემიჯნებით იმ კოლეგებს, რომლებთანაც ორი წლის წინ გვერდში ედექით“.**

პარლამენტის სხდომაზე ყველაზე შთამბეჭდავი მაინც ჩვენი ტურფა მარიკა ვერულაშვილის ფეხების ბაკუნი (რა თქმა უნდა, ოპოზიციური გამოსვლების საპროტესტოდ!ძ, შეკრული მუშტი და იქედნური თავის კანტური იყო...

**ღმერთო, ვინ მოთვლის, ეს „მმართველი ბიჭები“ რამდენ ცოდვას სჩადიან დღესაც! ნეტავი როდემდე უნდა ვუცქიროთ ამათ გაპარპაშებულ ნებივრობას?!**

**სპარტაკ ქობულია**

◎ „შავსათვალიანი" ოპოზიცია

# „იქნებ ის მაინც მოახერხოთ, რომ თქვენს შემდეგ ქვა ქვაზე მაინც დატოვოთ, რათა ქვეყანა საქართველოსგან მომავალში ღირსეული სახელმწიფო ავაშენოთ"...

(მეოთხე გვერდიდან)

სხვაგვარად როგორ ავხსნათ ის განუკითხაობა, რომელიც მოსახლეობის გაზმომარაგებაშია შექმნილი. სად არის თქვენი დაპირება, რომ თითოეულ ოჯახს გაზის სახლში შეყვანა ყველაზე ბევრი 250 ლარი დაუჯდებოდა, გაეცით პასუხი ადამიანებს, თუ რატომ უჯდებათ გაზის შეყვანა სახლებში 600-დან 800-ს ლარამდე.

ათობით მილიონი გადაიხადა ინვესტორმა რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში, რაც, კიდევ ვამბობ, კარგია, მაგრამ ძალიან ცუდია და უფრო მეტიც დანაშაულია, როცა თქვენმა მთავრობამ სამი მილიონი ვერ გამოძებნა იმისთვის, რომ კომბინატში მომუშავე ადამიანებისთვის წლობით დაგროვილი დავალიანება გაგესტუმრებინათ. არადა, ამ ადამიანებს, რომ რუსთავში მეტალურგია არ შეენარჩუნებინათ, გასაყიდიც არაფერი გექნებოდათ. ყოველდღე ქუთაისის ინდუსტრიულ ზონებზე საუბრობთ და ქუთაისელებს დასაქმებას პირდებით, მაგრამ იცით თუ არა, რომ ეს ძალიან გაჭირდება რადგან უცხოეთიდან შემოყვანილი მუშახელი საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფალია, ქუთაისელი კი იბეგრება. ახლა უბრალოდ წარმოიდგინე, ვისი დასაქმება ურჩევნია დამსაქმებელს, რა თქმა უნდა უცხოელის, ქუთაისელები კი მოტყუებულნი რჩებიან.

თვეზე მეტია ქრისტიან-დემოკრატები და ჩვენთან ერთად მთელი ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა ელოდება თქვენგან პასუხს კითხვაზე: აპირებთ თუ არა ხილის, კერძოდ კი ვაშლის მოსავლზე ისეთივე დანამატის გამოყოფას, როგორც ეს ყურძნისა და ციტრუსის შემთხვევაში მოხდა. თქვენმა არასწორმა პოლიტიკამ სოფლის მეურნეობის სფეროში შედეგად მოგვიტანა ის, რაც საქართველოს ისტორიას არ ახსოვს: გლეხებს აიძულებენ ვაშლი ოთხ თეთრად ჩააბარონ. ნუთუ ვერ ხედავთ ვერც თქვენ და ვერც თქვენი ორდენოსანი მთავრობა, რომ ასეთი პოლიტიკით კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე სოფლებს სულ მალე დააცარიელებთ და ამ ტერიტორიებს თქვენივე ხელით ახალ ჯაყოებს ჩააბარებთ.

თუმცა, ბატონო მიხეილ ის, რომ თქვენ ღირსეული სახელმწიფოს აშენებას ვერ ახერხებთ, არა მხოლოდ სოციალ-ეკონომიკურ სფეროში ვლინდება. იგივე ხდება ადამიანის უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების მხრივაც. ქრისტიან-დემოკრატებისა არ გჯერათ, როცა გეუბნებით, რომ კანონი პოლიციის შესახებ, კანონი მანიფესტაციების შესახებ და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, შარშან ზაფხულში თქვენმა უმრავლესობამ დრაკონულ კანონებად აქცია. არც სახალხო დამცველის გჯერათ, რომ რიგი ცვლილებებისა, რომელიც ამ კანონებში შეიტანეთ, კონსტიტუციასაც კი ეწინააღმდეგება. ვენეციის კომისიის თავმჯდომარისაც აღარ გჯერათ, რომელიც საქართველოში თავის ფეხით ჩამოვიდა იმის სათქმელად, რომ არ არის ეს ცივილიზებული სახელმწიფოს კანონები. ამასობაში კი მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ ერთადერთი, რაშიც ეს ცვლილებები გამოგადგათ, იყო სამკაციანი აქციის დარბევა და აქციის მონაწილეთათვის ჯარიმების დაკისრება. თქვენ შესაძლოა ამას დემოკრატიას უწოდებთ, ჩვენ კი გეტყვით, რომ მთელი ცივილიზებული სამყაროსთვის ამას ავტორიტარიზმი ქვია.

იქნებ აგვიხსნათ, რისთვის გააფორმა საქართველომ შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის ქარტია თუ საქართველოს მთავრობა მასში დაფიქსირებული ვალდებულებების შესრულებას არ აპირებდა. საინტერესოა, ჩვენს მთავარ პარტნიორს ატყუებდით თუ თავს იტყუებდით, როცა დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების განვითარების პირობას დებდით ქარტიის მეოთხე მუხლში.

თქვენ ხომ ყველაფერი გააკეთეთ იმისათვის, რომ სიტყვის თავისუფლების მხრივ შევარდნაძის პერიოდიც კი სანატრელი გაუხადეთ ხალხს. ეს კიდევ ერთი მაგალითია თქვენი უუნარობისა — შექმნათ ღირსეული და დემოკრატიული სახელმწიფო.

თქვენ და თქვენი ხელისუფლება, ბატონო მიხეილ, ვეღარასოდეს გახდებით პროგრესის მომტანი ხელისუფლება, რადგან თქვენ საკუთარი ხალხის არჩევანის გეშინიათ. სხვაგვარად რა დავარქვა იმას, რომ ქვეყნის არც ერთ თვითმმართველ ქალაქს, თბილისის გარდა, მერის პირდაპირი წესით არჩევის უფლება არ მიეცით. იქნებ გვიპასუხოთ, სხვა რა მოტივით უთხარით უარი ქუთაისელების, ბათუმელების, ფოთელების და რუსთაველების სრულიად კანონიერ და დემოკრატიულ მოთხოვნას, თავად აირჩიონ თავიანთი ქალაქის თავკაცი.

დაბოლოს, ბატონო პრეზიდენტო, იქნებ ერთხელ მაინც ცივი გონებით, გვერდიდან შეხედოთ თქვენს ექვსწლიან მოღვაწეობას და დაინახავთ, რომ თქვენ საკუთარ ქვეყანას მხოლოდ ფერუმარილს უსვამთ სახეზე და ამით გინდათ დაფაროთ ის ძონძები, მას თქვენი და თქვენივე მთავრობის საქმიანობის წყალობით რომ აცვია.

თქვენ, თქვენი საპრეზიდენტო ვადები პრაქტიკულად გაფლანგეთ, ასე რომ მადლობას წასვლისას აღარავინ გეტყვით, ახლა იქნებ ის მაინც მოახერხოთ, რომ თქვენს შემდეგ ამ ქვეყანაში ქვა ქვაზე მაინც დატოვოთ, რათა მომავალში ქვეყანა საქართველოსგან ღირსეული სახელმწიფო ავაშენოთ.

◎ SOS!

# „სოფლის მეურნეობის სამინისტრო გაუნათლებელი ბავშვების ბუდეა"



***სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი ის დარგია, რომელიც დღემდე არასახარბიელო მდგომარეობაშია. დამოუკიდებელ ექსპერტთა მოსაზრებით, სხვა გარემოებებთან ერთად, ამას ისიც ადასტურებს, რომ ქართულ ბაზარზე ადგილობრივი და იმპორტირებული პროდუქტების წილის თანაფარდობა 1/4, რიგ შემთხვევებში კი 1/5-ია. რამდენად სწორად არის განსაზღვრული წლეულს დარგის განვითარების პრიორიტეტები და რა ძირითადი პრობლემების გადაჭრით უნდა დაიწყოს მისი განვითარება? — ამ საკითხზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი" სოფლის მეურნეობის სპეციალისტს პაატა კოღუაშვილს ესაუბრა.***

**— ბატონო პაატა, რა თანხაა გამოყოფილი და რამდენად გონივრულად არის ის გადანაწილებული სოფლის მეურნეობის სექტორისთვის 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან?**

— მიმდინარე წლის ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობისთვის 55 მილიონი ლარია გამოყოფილი, მაგრამ აქედან 34 მილიონი ლარი ადმინისტრაციული ხარჯებისთვის არის გათვალისწინებული. დარჩენილი 21 მილიონი კი მიმართულია არა რეალურად კრიზისში მყოფი სოფლის მეურნეობის დარგის გაუმჯობესების, არამედ სხვადასხვა ღონისძიების ჩატარებისთვის.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტს ხუთი მთავარი პრიორიტეტი განსაზღვრავს. **პირველია** სასოფლო — სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია; **მეორე** — მევენახეობის განვითარება და ფალსიფიკაციასთან ბრძოლა; **მესამე** — მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა; **მეოთხე** — სურსათის უვნებლობა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა და **მეხუთე** — მეცხოველეობის განვითარება. თუმცა, არსებული თანხა სულ სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად არის მიმართული. მაგალითად, როცა ლაპარაკია მეცხოველეობაზე, საერთოდ არ არის ნახსენები სტრუქტურის გაუმჯობესება, ახალი ჯიშების შემოყვანა და ა.შ. ამაში მხოლოდ ჯილეხის, ცოფისა და სხვა დაავადებების საწინააღმდეგო ვაქცინაცია იგულისხმება. არსად არაფერი წერია იმაზე, რომ სახელმწიფო-ვეტერინარიული სამსახური, ფაქტობრივად, არ არსებობს და ვეტექიმი არც ერთ სოფელს არ ჰყავს. სად რომელი დაავადება აფეთქდება, არავინ იცის. მევენახეობის განვითარებაში მხოლოდ ღვინის ლაბორატორიული კვლევა და ქართული ღვინოების პოპულარიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებები და მსოფლიო ღვინის კონგრესის ჩატარება იგულისხმება და ა.შ.

**— ესე იგი, გამოდის, რომ...**

— სოფლის მეურნეობის სამინისტრო უთავოდ არსებობს. მას დღემდე არ აქვს სოფლის მეურნეობისა და სურსათის წარმოების განვითარების სტრატეგია და ტაქტიკა. ეს გაუნათლებელი ბავშვების ბუდეა. ბიუჯეტს რომ გადავხედე, სიცილი ამიტყდა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ სამინისტროს ფუნქცია აღარ დარჩა და მას „გარედან" მართავენ. ყველაფერი იქით მიჰყავთ, რომ ეს უწყება საერთოდ გაუქმდეს.

**— ბატონო პაატა, რა მდგომარეობაა სახნავ-სათესი მიწების დამუშავების თვალსაზრისით?**

— ბოლო წლებში ასეთი მიწების დაახლოებით 55 პროცენტი დაუმუშავებელი გვრჩება. ამ მხრივ, დაცემის პერიოდი 2006 წლიდან დაიწყო და ეს ტენდენცია, სამწუხაროდ, ნარჩუნდება. მიწა, როგორც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ცნება, ქრება. ბენდუქიძისეული დამღუპველი ინიციატივები იქამდე მიგვიყვანს, რომ ვისაც რა დანიშნულებით უნდა, მიწას იმ დანიშნულებით გამოიყენებს — მასზე ხეებს არ დარგავს და ბეტონს დაასხამს. მიწა ერის არსებობის უმნიშვნელოვანესი წყაროა. ჩვენ კი, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ვამცირებთ და ვამცირებთ მას.

**— რამდენად ეფექტიანად მუშაობს სამელიორაციო სისტემა?**

— აღმოსავლეთ საქართველოში მიწის მორწყვას ალტერნატივა არ აქვს. თავის დროზე ჩვენთან 450 000 ჰექტარი მიწა ირწყვებოდა. შემდეგ ეს მაჩვენებელი 400 000, 350 000, 90-იანი წლების ბოლოს კი 200 000-მდე შემცირდა. ახლა 100 000 ჰექტარიც აღარ ირწყვება. ამასთან, ერთი ჰექტარი მიწის მორწყვის ფასი 7-დან 75 ლარამდე გაიზარდა. აქვს გლეხს კრედიტის აღების საშუალება და, საერთოდ, არსებობს კრედიტი სოფლის მეურნეობაში? იმის მაგივრად, რომ სპეციალური აგროსაკრედიტო სისტემა შექმნილიყო, პიტერ შოუს შევუქმენით აგრობიზნესბანკი. დასავლეთ საქართველოში დაშრობითი ღონისძიებები არის განსახორციელებელი, რადგან იქ ხელმეორე დაჭაობების პროცესები ვითარდება, მაგრამ ამაზე კაციშვილი არ იღებს ხმას.

**— ოპოზიცია ხელისუფლებას ხშირად საყვედურობს, რომ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა სოფლებში საარჩევნო, პოპულისტური მიზნით რიგდება...**

— ვისაც ოპოზიციად მოიხსენიებთ, მას ოპოზიციას არ ვეძახი. ისინი უარესები არიან. ეს გაუნათლებელი ხალხია. ოპოზიცია ის არის, ვინც წინადადებებს შეიმუშავებს და განვითარების გზას გვიჩვენებს. ესენი არავინ არ არიან! ისინი თვითონვე არიან პოპულისტები. სამწუხაროდ, ვერ მივედით იმ დასკვნამდე, რომ უახლოესი 30-35 წლის განმავლობაში ეკონომიკის საფუძველი აგროსასურსათო სექტორი, სოფლის მეურნეობა უნდა იყოს. თუ ამას არ გაითავისებენ და სახელმწიფო მნიშვნელობის უპირველეს პრიორიტეტად არ აღიარებენ, არაფერი გამოვა. იმედის მომცემი ტურიზმი არ განვითარდება, თუ მას სწორედ სოფლის მეურნეობის განვითარებამ არ გაუსწრო. ამ დარგს უახლესი 6-7 წლის განმავლობაში ყოველწლიურად 350-400 მილიონი ლარი სჭირდება. შემდეგ კი სოფლის მეურნეობა თვითონვე მოიკრებს ძალას და ქვეყანას კეთილდღეობისკენ წაიყვანს.

◎ ინფორმაცია

## შეიწყალებენ ოც მსჯავრდებულს

ე.წ. უდოს კომისიამ დადებითად კიდევ ოცი მსჯავრდებულის საქმე გადაწყვიტა. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების მუდმივმოქმედმა კომისიამ გუშინდელ სხდომაზე სულ 146 მსჯავრდებულის შუამდგომლობა განიხილა.

კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს 20 მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხზე სასამართლოსთვის წარდგინებით მიემართათ. დანარჩენ მსჯავრდებულებთან დაკავშირებით კი კომისიამ მიიჩნია, რომ ამ ეტაპზე სარჩელმა მიზანს ვერ მიაღწია.

მათ შესაძლებლობა ექნებათ კომისიას 6 თვეში კვლავ მიმართონ.

## ოს სეპარატისტებს აფინანსებენ და აკონტროლებენ

რუსული მედიის ინფორმაციით, ოს სეპარატისტებს მოსკოვმა შესაძლოა კონტროლის პალატის თავისი წარმომადგენელი დაუნიშნოს რუსეთიდან ე.წ. სამხრეთ ოსეთში დახმარების სახით მომავალი თანხების გასაკონტროლებლად.

— სამხრეთ ოსეთში „კონტროლის პალატის შესახებ" კანონის მიღების შემდეგ მომზადდება წინადადება რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის კონტროლის პალატებს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების გასაფორმებლად. სწორედ ამ შეთანხმებაში იქნება პუნქტი, რომელიც რუსეთის კონტროლის პალატის წარმომადგენლის სამხრეთ ოსეთში დანიშვნას ითვალისწინებს, — იუწყება რუსული მედია და დასძენს, რომ რუსეთის კონტროლის პალატის წარმომადგენელი ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთიდან ამ რეგიონში დახმარების სახის მომავალ თანხებს გააკონტროლებს.

ჯი-ეიჩ-ენი

# აი, რა ქმნა „იავნანამ“ და... კიდევ რას იზამს!

რაც უფრო დიდია ხელოვანი, მით უფრო ადვილია მისგან თანხმობა საქველმოქმედო საღამოში მონაწილეობაზე — ამბობს პაატა ბურჭულაძე და უკვე 6 (მეექვსე) წელიწადია ახარებს ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს, ნიჭიერ სტუდენტებს, სასულიერო აკადემიისა და სემინარის მსმენელებს, მთელ ქართველ საზოგადოებას...

* * *

● 6 წლის განმავლობაში პაატა ბურჭულაძემ უცხოეთსა და საქართველოში 40-მდე საქველმოქმედო საღამო გამართა, ბინა შეუძინა სოციალურად დაუცველ 45 ოჯახს, 230 ბავშვი დაუბრუნა საკუთარ მშობლებს!

* * *

● 2008 წლის სექტემბრიდან „იავნანამ“ ერთწლიანი ყოველთვიური დახმარება დაუნიშნა აგვისტოს ომის დროს დაობლებულ 106 ბავშვს. შვიდი წლის (დღეს უკვე 9 წლის) დიტო რაზმაძე კი ფონდის შვილობილი გახადა. მისი ბედი 18 წლამდე (ალბათ შემდეგაც!) შესანატრად გადაწყვეტილია.

* * *

● „იავნანა“ აერთიანებს სიკეთისა და ქველმოქმედების ნიჭით დაჯილდოებულ მრავალ (50-მდე) სამეგობროს, რომლებიც მზრუნველობას არ აკლებენ ფონდის მიერ „აღმოჩენილ“ ობოლ, ბავშვთა სახლებში „ჩასახლებისთვის“ ან ქუჩაში მათხოვრობისთვის განწირულ ბავშვებს. ასეთი, ჯერჯერობით, 200-მდე ბავშვია!

## პაატა ბურჭულაძის ცხოვრების უმთავრესი მიზანია მანამდე უბეროს სული „იავნანას“, სანამ ყველა მზრუნველობამოკლებულ, ღარიბ ბავშვს საკუთარ ჭერს არ მიუჩენს.

● პირველი საქველმოქმედო საღამოები ფონდ „იავნანას“ მხარდასაჭერად ნანი ბრეგვაძემ, სოფიკო ჭიაურელმა, ბუბა კიკაბიძემ გამართეს... მერე და მერე ამ კონცერტებში თითქმის ყველა გამოჩენილი ქართველი ხელოვანი მონაწილეობდა და დღესაც მონაწილეობს.

* * *

● პაატა ბურჭულაძეს მსოფლიოს წამყვანი საოპერო თეატრებიდან, სრულიად უანგაროდ, ჩამოჰყავდა და ჩამოჰყავს საოპერო ხელოვნების ვარსკვლავები. ჩვენი გაზეთი, ამ ექვსი წლის განმავლობაში კონკრეტულად წერდა თითოეული საქველმოქმედო საღამოსა და მსოფლიო ვარსკვლავების შესახებ...

* * *

● ხვალ, 3 მარტს, დედის დღეს, „იავნანას“ შექმნის 6 წლისთავზე, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში პაატა ბურჭულაძესთან ერთად კიდევ ერთი მსოფლიო ვარსკვლავი ჯუზეპე ჯაკომინი იმღერებს. საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის სიმფონიურ ორკესტრს და საგუნდო კაპელას უდირიჟორებს ნიკა მემანიშვილი. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ნანი ბრეგვაძე, სოფო ნიჟარაძე, ნეკა სებისკვერაძე, ნუკრი კაპანაძე, ეკა მამალაძე, მაიკო ლომიძე, ნატალია ქუთათელაძე, მარიამ როინიშვილი, მერაბ სეფაშვილი, სალომე კორკოტაშვილი, აჩიკო ნიჟარაძე, მორის ჯანაშვილი, დათო ევგენიძე, მაია ჯაბუა, თამრიკო ჭოხონელიძე, გიორგი სუხიტაშვილი, ანი კეკუა, სოფო ხალვაში, ქეთი ორჯონიკიძე, მარიკა ებრალიძე, რეზო ჩხიკვიშვილი, „ცისფერი ტრიო“...

ასე რომ, 3 მარტის საქველმოქმედო საღამო, ტრადიციულად, საოპერო და საესტრადო ხელოვნების ზეიმი იქნება.

რამდენიმე ღარიბი ოჯახი რუსთაველის თეატრის სცენაზე მიიღებს საკუთარი ბინის გასაღებს...





ჯილდოს გადაცემის დღეს პატრიარქმა პაატა ბურჭულაძის პირველი შვილიშვილი ირინე ბურჭულაძე დაულოცა

## პაატა ბურჭულაძე:

## თუ პატრიარქი და ქართველი ხალხი თვლიან, რომ მე ამ უდიდესი ჯილდოს ღირსი ვარ, თავსაც გავწირავ ამ ნდობის გასამართლებლად!

ზუსტად ასე თქვა ჩვენმა სახელოვანმა მომღერალმა, დიდმა ქველმოქმედმა და ეროვნულმა მოღვაწემ 28 თებერვალს, სამების საკათედრო ტაძარში ქართული ეკლესიის უმაღლესი ჯილდოს — წმიდა გიორგის ოქროს ორდენით დაჯილდოების დროს.

ეს ჯილდო, როგორც პატრიარქმა ბრძანა, ბრწყინვალე პიროვნებამ პაატა ბურჭულაძემ მიიღო ერისა და დედაეკლესიის წინაშე დიდი დამსახურებისა და განსაკუთრებული საქველმოქმედო მოღვაწეობისთვის.

გვიმრავლოს! ღმერთმა გადაარჩინოს და გაამთლიანოს საქართველო!

სპარტაკ ქოზულია

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მიხეილ სააკაშვილი საქართველოს რეფორმების ტალღას ჰპირდება

**გასული კვირის ბოლოს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გამოვიდა მოხსენებით „ქვეყნის მდგომარეობის შესახებ“. მან კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ პატარა საქართველომ გაუძლო ჯერ დიდი რუსეთის დაწოლას, შემდეგ კი მსოფლიოს საფინანსო კრიზისსაც. ბატონმა სააკაშვილმა პირველად და ერთმნიშვნელოვნად განაცხადა იმ განზრახვის შესახებ, რომ სურს შეცვალოს ქვეყნის პოლიტიკური სისტემა. ოპოზიცია აქედან კარგს არაფერს ელოდება და პრეზიდენტს ცხარე დაპირისპირებას ჰპირდება.**



პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მოსასმენად მოვიდნენ უცხოეთის ელჩები, დასავლელი ბიზნესმენები, ვანკუვერში დაღუპული მოციგურავის ნოდარ ქუმარიტაშვილის ნათესავები, აგრეთვე რამდენიმე რუსეთელი, რომლებიც ცნობილი არიან კრემლის პოლიტიკის კრიტიკით – ვალერია ნოვოდვორსკაია, კონსტანტინ ბოროვოი, ოლეგ პანფილოვი, რუსეთის პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი ანდრეი ილარიონოვი და საბჭოთა ეპოქის დისიდენტი ვლადიმერ ბუკოვსკი. დეპუტატები ამ უკანასკნელებს ფეხზე დგომით და მქუხარე ტაშით შეეგებნენ, ხოლო პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ რუსეთში ამჟამინდელ მმართველ რეჟიმს არ აიგივებს რუს ხალხთან.

შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა ისაუბრა იმის შესახებ, თუ „როგორ შეძლო საქართველომ დაემარცხებინა ძლიერი, დაუნდობელი და სისხლისმსმელი მტერი“, რომელიც, მისი სიტყვებით, „შემოიჭრა საქართველოში 2008 წლის აგვისტოში და რომელიც მიზნად ისახავდა არა მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელში ჩაგდებას, არამედ ქართული სახელმწიფოებრიობის დაშლასაც“. „მიუხედავად სამი ცუნამისა, რომლებიც ერთდროულად დაატყდა თავს ჩვენს ქვეყანას, კერძოდ კი რუსეთის აგრესიისა, ეკონომიკური კრიზისისა და ოპოზიციის უპასუხისმგებლო მრავალთვიანი აქციებისა, ეკონომიკის დაცემამ შეადგინა სულ რაღაც 3 პროცენტი. მაშინ, როდესაც ბევრ ქვეყანაში, სადაც გადაეყარნენ ამ სამი ცუნამიდან მხოლოდ ერთს, ეკონომიკის დაცემის აღმნიშვნელი ციფრი ორნიშნაა. ჩვენთან გაძლო ყველა ბანკმა, ხელფასებისა და პენსიების გაცემა კი არ შეწყვეტილა“, – ამტკიცებდა პრეზიდენტი. ამისთვის, სხვათა შორის, მან მადლობა გადაუხადა ანდრეი ილარიონოვს, რომელიც კახა ბენდუქიძესთან (საქართველოს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი სტრუქტურული რეფორმების საკითხებში) ერთად მუშაობდა საქართველოს ანტიკრიზისულ პროგრამაზე.

მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ მას იმედი აღარ აქვს საქართველოს საქონლის დაბრუნებაზე რუსეთის ბაზარზე. უფრო მეტიც, მან მადლობაც კი გადაუხადა რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობას საქართველოს პროდუქციის ექსპორტზე 2006 წელს ემბარგოს შემოღებასთან დაკავშირებით. „თუ ჩვენ ადრე მანდარინი და ღვინო ფაქტობრივად გაგვქონდა მხოლოდ რუსეთში, ამჟამად ჩვენმა ბიზნესმენებმა გამონახეს ათობით სხვა ბაზარი, ეს კი ყოველთვის ხელს უწყობს განვითარებას“. ეს განცხადება გაისმა საკონტროლო-გამტარი პუნქტის „ზემო ლარსის“ გახსნისა და ორშაბათიდან რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის საქართველოს სამხედრო გზაზე საავტომობილო მიმოსვლის აღდგენის წინ. სხვათა შორის, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ნალბანდოვმა უფრო ადრე განაცხადა, რომ „საქართველო დათანხმდა საკონტროლო-გამტარი პუნქტის გახსნაზე მეგობარი სომხეთის თხოვნით და იმედიც არ აქვს რაიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მოგებისა“.

ეკონომიკიდან პრეზიდენტი პოლიტიკაზე გადავიდა. მოსკოვში ქართველი ოპოზიციონერების გახშირებით ჩასვლასთან დაკავშირებით (კერძოდ ზურაბ ნოღაიდელისა და სხვებისაძ პრეზიდენტმა მათ „სამშობლოს მოღალატეები“ უწოდა. „თავისუფლების მტრებს ყოველთვის შეუძლიათ გამოძებნონ მოღალატეები, რომლებიც მზად არიან გაიქცნენ მათთან და ულოკონ ჩექმები, რომლებიც დასვრილია დამონებული ხალხის სისხლით. მაგრამ მოღალატეები ყოველთვის უმცირესობაში რჩებიან! – ემოციურად წამოიძახა პრეზიდენტმა სააკაშვილმა. – როდესაც საქართველო იმპერიის შემადგენლობაში იყო, ქართველებს მოსკოვში შეეძლოთ ფრენა 37 რუბლად. უკეთესია გადაიხადო 250 დოლარი ერთი რეისისთვის, მაგრამ იყო დამოუკიდებელი, ვიდრე გადაიხადო 37 რუბლი და იყო მონა“.

დამოუკიდებლობის შემდგომი განმტკიცებისთვის პრეზიდენტი თავის ხალხს დაჰპირდა „დემოკრატიული რეფორმების მესამე ტალღას“. კერძოდ კი, ახალი „ევროპული ნიმუშის“ კონსტიტუციის მიღებას. მეთვალყურეები მიიჩნევენ, რომ ახალი ძირითადი კანონი პრეზიდენტ სააკაშვილს დასჭირდა, რათა გადავიდეს საპარლამენტო მმართველობის ფორმაზე თავისი მეორე და უკანასკნელი მმართველობის ბოლო პერიოდისთვის (იგი მთავრდება 2013 წელსძ. ეს რეფორმა მეტად არ მოსწონს ოპოზიციას, რომელიც შესანიშნავად ათვითცნობიერებს, რომ პარლამენტარიზმზე გადასვლა შანსს მისცემს მიხეილ სააკაშვილს, დარჩეს ხელისუფლების სათავეში პრემიერის სახით გაურკვეველი ვადით.

ოპოზიციონერები უკვე გამოვიდნენ გაფრთხილებით ხელისუფლების მისამართით და აღნიშნავენ, რომ შეიქმნება პრობლემები, თუ ადგილობრივი ორგანოების არჩევნები, რომელიც მიმდინარე წლის მაისისთვის არის დანიშნული, ფალსიფიცირებული იქნება. როგორც ოპოზიციის ერთ-ერთმა იდეოლოგმა გიორგი გაჩეჩილაძემ განაცხადა: „საქართველოში ჭექა-ქუხილი გარდაუვალია, და ამჯერად იგი ნამდვილად ჩამოაგდებს სააკაშვილს“.

Коммерсант

# ნატო საჩუქარი არ არის

**ნატოში საბოლოოდ აღიარეს, რომ რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტა კავკასიაში ხუთდღიანი ომის შემდეგ უპატიებელი შეცდომა იყო. პენტაგონში აღნიშნავენ, რომ ორმხრივი საბჭოს მუშაობის შეწყვეტამ თბილისის გამო, მხოლოდ უფრო მეტად დაძაბა ურთიერთობანი ბლოკსა და მოსკოვს შორის. მაგრამ საქართველოზე საბოლოოდ უარის თქმა რუსეთის სასარგებლოდ, ნატოს ძველებურად არ შეუძლია, თუმცა ცდილობს წაართვას სააკაშვილის ადმინისტრაციას ალიანსში ადვილი, სწრაფი და ხელსაყრელი წევრობის ილუზიები**

ნატოსა და რუსეთს შორის თანამშრომლობის შეწყვეტა 2008 წლის აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით კავკასიაში შეცდომა იყო, რომელსაც აქვს სერიოზული შედეგები ორივე მხარის ურთიერთობაში. ასეთ დასკვნამდე ხუთდღიანი ომის გასვლიდან 1,5 წლის შემდეგ მივიდა ამერიკის სამხედრო ხელმძღვანელობა.

„ობამას ადმინისტრაცია რუსეთ-ნატოს საბჭოს მუშაობის შეწყვეტას საქართველოში ომის პერიოდში მიიჩნევს შეცდომად. ჩვენ გვჯერა, რომ ის მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავდა ყველა სადავო საკითხის მოგვარებას, მეტად მნიშვნელოვანია“, – განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მოადგილემ საერთაშორისო უშიშროების საკითხებში ალექსანდრ ვერშბოუმ.

რუსეთმა გაყინა თავისი თანამშრომლობა ალიანსთან მისი მისამართით გამოთქმულ ბრალდებასთან დაკავშირებით. მაგრამ უკვე რამდენიმე თვის შემდეგ ნატოს ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ მზად არიან განაახლონ სრულფორმატიანი თანამშრომლობა მოსკოვთან.

მით უმეტეს, რომ რუსეთსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შორის გაჩენილი პაუზა არც ერთი მხარისთვის სასარგებლო არ აღმოჩნდა: როგორც რუსეთის წარმომადგენლებმა სამართლიანად აღნიშნეს, მოსკოვთან თანამშრომლობაში უწინარეს ყოვლისა დაინტერესებულია თავად ალიანსი.

ამჟამად, მიიჩნევს ვერშბოუ, ურთიერთობა თითქმის უკვე მოწესრიგდა. „საჭიროა გავაფართოოთ ერთობლივი პროექტებისა და საერთო ინტერესების ჩამონათვალი... ჩვენ უნდა ვეძებოთ თანამშრომლობის ახალი ფორმები და საშუალებები, გავაძლიეროთ ტექნოლოგიური კოოპერაცია, გავაფართოოთ კავშირურთიერთობანი რუსეთთან, მათ შორის, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შექმნის საკითხებში“, – ასკვნის ვერშბოუ.

სხვათა შორის, მოსკოვი უფრო სკეპტიკურად უყურებს ბლოკთან პარტნიორობას, სულ უფრო მეტ უკმაყოფილებას გამოთქვამს მისი გაფართოების გეგმებთან დაკავშირებით, მათ შორის საქართველოს ხარჯზეც.

ამ დროს თავად ალიანსის ხელმძღვანელობაც თავისი ინტეგრაციების შესახებ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ხარჯზე საუბრობს უკვე არა ისეთი თავდაჯერებულობით.

ვერშბოუმ, კერძოდ, შეგვახსენა, რომ სანამ ალიანსის წევრი გახდებოდეს, თბილისს მოუწევს ბევრი მუშაობა და უწინარეს ყოვლისა იმისი ჩვენება, რომ მას შეუძლია შეიტანოს თავისი წვლილი რეგიონში სტაბილურობის განმტკიცებაში. „საქართველოს მოუწევს გადალახოს ბევრი პრობლემა თავდაცვითი სფეროს სრულყოფის საქმეში, დაამტკიცოს, რომ იგი აკეთებს ყველაფერს რეგიონსა და ევროპაში სტაბილურობის განმტკიცებისთვის“, – აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**ბარაკ ობამა უკმაყოფილო დარჩა აშშ-ს ახალი ბირთვული დოქტრინის გამო**

პრეზიდენტის ადმინისტრაციამ პროექტი გადასამუშავებლად დააბრუნა, ვინაიდან იგი არ ასახავს მშვიდობისკენ სწრაფვას ბირთვული იარაღის გარეშე. ამავე დროს პენტაგონის ხელმძღვანელი არც ისე მშვიდობიანადაა განწყობილი: იგი ობამას „განმაიარაღებელი კურსის“ წინააღმდეგია.

* * *

**უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი ბრიუსელს გაემგზავრა, რათა მიაღწიოს უვიზო რეჟიმს**

ეს არის მისი პირველი საერთაშორისო ვიზიტი თანამდებობის დაკავების შემდეგ. პრეზიდენტი შეხვდება ევროკავშირისა და ევროკომისიის ხელმძღვანელობას. მისგან კი სურთ მოისმინონ აზრი საბაჟო კავშირის, რუსეთთან ურთიერთობისა და გაზის ტრანზიტის შესახებ. იანუკოვიჩი ისწრაფვის მიაღწიოს ევროსაბჭოსთან უვიზო რეჟიმს უკვე 2011 წლიდან.

* * *



**ნატო 2010 წელს რუსეთის საზღვრისკენ გადმოქაჩავს რეკორდულ ძალებს, რათა დაამშვიდოს ბალტიისპირეთი**

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ბალტიისპირეთის ქვეყნებში მოაწყობს რამდენიმე სწავლებას. მარტო ლატვიაში ამ სწავლებაში მონაწილეობას მიიღებს თითქმის 2 ათასი კაცი. ნატო აღნიშნავს, რომ ეს არ არის პასუხი რუსეთ-ბელარუსის სწავლებაზე, რომელიც შარშან გაიმართა. ჭეშმარიტია მიზანი – დაამშვიდონ თავად ბალტიისპირელები, მიაჩნიათ ექსპერტებს.

* * *

**ისრაელში ხელისუფლებამ მოსახლეობისთვის აირწინაღების დარიგება დაიწყო და მოუწოდა მას არ იღელვოს**

აირწინაღები და ანტიდოტების კრებული უნდა მიიღოს ყველა შვიდმა მილიონმა ისრაელელმა. ხელისუფლება ამ ღონისძიებას „ტექნიკურს“ უწოდებს და აცხადებს, რომ არ არის საჭირო ამ ღონისძიებაში ვეძიოთ ომის საფრთხე. აირწინაღების გაცემა დაიწყო ქალაქ ორ-იეგუდიდან. მათ, ვისაც დრო არა აქვს მივიდეს აირწინაღების მისაღებად ფოსტაში, მოუწევთ კურიერისთვის შვიდი დოლარის გადახდა.

* * *

**ჩილეში, სადაც მიწისქვეშა ბიძგების შედეგად დაიღუპა 700-ზე მეტი კაცი, ახალი მიწისძვრა მოხდა**

მიწისქვეშა ბიძგების ძალა ქალაქ კონცეპსიონიდან 80 კილომეტრში, შეადგენდა 5,6-6,2 ბალს. ახალი მიწისძვრის მსხვერპლის შესახებ არაფერს იტყობინებიან. ქვეყნის მოსახლეობის 2 მილიონზე მეტი მცხოვრები უსახლკაროდ დარჩა. ხელისუფლება ცდილობს ებრძოლოს მარადიორობას დანგრეულ რაიონებში.



დიდი ტერორი?

ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?

მაგრამ ბუხარინს არა მხოლოდ პარტიელი კოლეგების იმედი ჰქონდა. მომავალი ანტისტალინელების ბრძოლის ერთ-ერთ იარაღად ბუხარინი აპირებდა გამოეყენებინა მასონობა, რომელთანაც გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა და რომელიც 30-იან წლებში მტრულად იყო განწყობილი როგორც სტალინთან დაკავშირებით, ისე ჰიტლერთან დაკავშირებითაც. ნ.ბერბეროვას მოჰყავს ცნობილი მასონელის ე.დ.კუსკოვას ცნობა ბუხარინის გამოსვლის შესახებ საზოგადოებრიობის წინაშე პრაღაში. მაშინ ის აკეთებდა სავსებით შესამჩნევ მასონურ ჟესტს. ნუ ვიჩქარებთ „ბუხარჩიკის“ ფრანკმასონებში ჩარიცხვასთან დაკავშირებით. მაგრამ ერთ საინტერესო დოკუმენტსაც ვერ ავუვლით გვერდს, რომელიც ამას წინათ აღმოაჩინეს ჩვენმა ისტორიკოსებმა. საკითხი შეეხება ემიგრანტი მასონის ბ.ა.ბახმეტიევის წერილს კუსკოვასადმი (1929 წლის 29 მარტი). მასში ბახმეტიევი იმედს ამყარებს სსრ კავშირის ხელისუფლებაში „მემარჯვენე გადახრის“ მოსვლაზე. ეს უნდა გამხდარიყო ბოლშევიკური რუსეთის დასასრულის დასაწყისი: „მემარჯვენე გადახრას ბელადები არა ჰყავს, რაც არცაა საჭირო: საჭიროა მხოლოდ, რომ ისტორიამ მოუღოს ბოლო სტალინს, როგორც გასალკლდევების უკანასკნელ ბურჯს... რუსული სხეულის შიგნით გაიზრდება და კრისტალური გახდება ის დაჯგუფებები და საყოფაცხოვრებო ურთიერთობანი, რომლებიც გარკვეულ მომენტებში მტკიცედ მოითხოვენ ცვლილებებს მმართველობის ზედა ფენებში და შექმნიან ისტორიულ კავშირურთიერთობებსა და ისტორიულ პირობებს, რომლებსაც დაეკისრებათ – გარეგნულად დაასრულონ ბოლშევიკური პერიოდი და გზა გაუხსნან მომავალს“ (ე.მ.შჩაგინი „ზემოდან რევოლუციის“ ისტორიის დოკუმენტები“. დოკუმენტი № 5. ბ.ა.ბახმეტიევი წერილიდან ე.დ.კუსკოვასადმი).

სხვათა შორის, როგორ ეხმიანება ეს ყოველივე გარდაქმნის დროს! ხელისუფლებაში მოსულმა „არანამდვილმა ბელადმა“ გორბაჩოვმა, რომელიც აღფრთოვანებული იყო სოციალ-დემოკრატიით და ახდენდა ბუხარინის იდეალიზაციას, მხოლოდ გახსნა შლაგბაუმი ძალებისთვის, რომლებმაც ქვეყანას პროდასავლური კაპიტალიზმი მოახვიეს თავს.

ბევრი მზად იყო დახმარებოდა „მემარჯვენეებს“. მაგრამ, ალბათ, ბუხარინს, რიკოვსა და ტომსკის ყველაზე მყარი დასაყრდენი ჰქონდათ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში. მათ ემხრობოდა შინაგან საქმეთა ყოვლისშემძლე მინისტრი იაგოდა, რომელიც ორგანოებს ფორმალურად სათავეში ედგა 1934 წელს, ვ.რ.მენჟინსკის გარდაცვალების შემდეგ, ფაქტობრივად, კი მათი შეფი იყო 1926 წლიდან.

იაგოდა დიდი ხანია მიჩნეულია სტალინის ერთგულ სატრაპად, რომელიც გარკვეულ მომენტში აღარ სჭირდებოდა „ტირანს“. მაგრამ რამდენიმე მონაცემი საპირისპიროს მოწმობს. იაგოდა სულაც არ ყოფილა ისეთი მლიქვნელი, რომელიც ყველაფერში უჭერდა მხარს სტალინსა და უმაღლეს პარტიულ ხელმძღვანელობას. ძალიან ხშირად იგი თავის თავს უპირისპირებდა პარტიულ ზედა ფენებს, ავლენდა თავს არაუწყებრივ სამემკვიდრეო მამულის პატრონად, რომელსაც თავისი „სამეურნეო“ ინტერესები ჰქონდა. მაგრამ როგორი ინტერესები შეიძლება ჰქონდეს სამემკვრიდრეო მამულის პატრონს, თუ იგი საიდუმლო პოლიციას უდგას სათავეში? გასაგებია როგორიც – ისწრაფოდეს ყველანაირად გაეძლიერებინა თავისი ძალაუფლება თავისუფლებასა და ხალხის სიცოცხლეზე, რის გაკეთებასაც იაგოდა ცდილობდა, როდესაც სტალინისა და პოლიტბიუროსთვის გვერდის ავლა უნდოდა. თანაც საუწყებო სეპარატიზმის გამოვლინება მას დაეწყო ჯერ კიდევ 20-იანი წლების დასაწყისში.

„1922 წელს ერთმანეთს შეეჯახნენ იუსტიციის სახალხო კომისარი კურსკი, რესპუბლიკის პროკურორი კრილენკო და მთავარი პოლიტიკური სამმართველოს საქმეთა მმართველი იაგოდა, – წერს ე.ა.პრუდნიკოვა. – საკითხი შეეხებოდა მთავარი პოლიტიკური სამმართველოს სასამართლოს გარეშე განაჩენებს საკუთარი თანამშრომლების საქმეებზე. მარტივად რომ ვთქვათ, პირველი ორი მიიჩნევდა, რომ ის ჩეკისტები, რომლებმაც თანამდებობრივი დანაშაული ჩაიდინეს, უნდა გასამართლდნენ ზოგად საფუძვლებზე, იაგოდა კი იცავდა სტრუქტურის უფლებას – თავადვე დაესაჯათ თავიანთი დამნაშავეები. კონფლიქტი კი ამოუხეფდა ზევით, სტალინისთვის გაგზავნილი წერილის სახით – მომდევნო ათი წლის განმავლობაში წყვეტდნენ მას, მაგრამ მაინც ვერ გადაწყვიტეს... 1931 წელს, კადრების გაჯანსაღების თვალსაზრისით, მთავარი პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის მენჟინსკის პირველ მოადგილედ დაინიშნა ძველი ბოლშევიკი ი.ა.აკულოვი, პროფკავშირული მოღვაწე, მანამდე ერთ-ერთი სახალხო კომისრის მოადგილე – ერთი სიტყვით, „ვარიაგი“ პარტიელებიდან. აი, რა ისტორიას გვიამბობს ყოფილი ჩეკისტი მიხეილ შრეიდერი: „იმ პოზიციების სხვაობისთვის, რომლებიც ეკავათ იაგოდასა და აკულოვს, დამახასიათებელი იყო 1932 წელს ყაზანის დენთის ქარხანაში სპირტის მასობრივი მიტაცების გამოვლენის შეფასება (მაშინ მე თათრეთის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს ეკონომიკური განყოფილების უფროსი ვიყავი). საქმეში თათრეთის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს 39 კაცი გადიოდა. აკულოვი, რომელსაც მხარს მენჟინსკი უჭერდა, დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ დატაცებისა და მექრთამეობის ყველა მონაწილე, ვინც ორგანოებში მუშაობდა, გაესამართლებინათ მთელი სიმკაცრით საერთო საფუძვლებზე. იაგოდას კი მიაჩნდა, რომ ეს ორგანოების სირცხვილი იქნებოდა, ამიტომ ეს დამნაშავეები წყნარად, უხმაუროდ უნდა გავათავისუფლოთ სამსახურიდან და სამუშაოდ გავაგზავნოთ სადმე პერიფერიაში, კერძოდ,ბანაკებში...“ აკულოვი მალე გამოდევნეს ორგანოებიდან, მენჟინსკი გარდაიცვალა, იაგოდა კი გახდა სსრ კავშირის პოლიტიკური პოლიციის უფროსი“ („ხრუშჩოვი. ტერორის შემოქმედნი“).




და აი კიდევ ერთი მეტად ნათელი მაგალითი. 8 მაისს ცენტრალურმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს დადგენილება „გლეხების მასობრივი გასახლების შეწყვეტის შესახებ“ (მას ხელი სტალინმა და მოლოტოვმა მოაწერეს). „მაგრამ მთავარი პოლიტიკური სამმართველოს განყოფილებამ იგი უგულებელყო, და ამიტომ მხოლოდ ერთი წლისა და ხუთი თვის შემდეგ მოაწერა ხელი იაგოდამ 1934 წლის 17 ოქტომბრის საიდუმლო ინსტრუქციას ყველა პარტიული და სახელმწიფო მუშაკისა და მთავარი პოლიტიკური სამმართველოს განყოფილების ორგანოების მისამართით, – წერს ს.კუზმინი. – გ.გ.იაგოდამ მიაღწია დაეტოვებინა თავისთვის უფლებები – პროკურორების სანქციების გარეშე დაეპატიმრებინა ის პირები, ვისაც ბრალი ედებოდა ტერორისტულ აქტებში, აფეთქებებში, ხანძრის გაჩენაში, შპიონაჟში, საზღვრის დარღვევაში, პოლიტიკურ ბანდიტიზმში, აგრეთვე – ანტიპარტიულ დაჯგუფებათა წევრები („მებანაკეები“).

1934 წლის 9 აგვისტოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ადგილებზე დაგზავნა დეპეშა, რომლითაც უბრძანებდა – ყოველ საკონცენტრაციო ბანაკში შეექმნათ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სასამართლო. დეპეშაში აკრძალული იყო ამ სასამართლოების განაჩენების გასაჩივრება და მოითხოვდნენ ეს განაჩენები შეეთანხმებინათ მხოლოდ სამხარეო პროკურორებთან და მოსამართლეებთან. პოლიტბიურო და თავად სტალინი შოკში აღმოჩნდნენ ამგვარი სეპარატისტული ღონისძიებების გამო, მაგრამ ამას არ გამოუწვევია „სტალინის ერთგული სატრაპის“ ჩამოგდება. მასთან მოხდა კომპრომისი (ყურადღება მიაქციეთ – სწორედ კომპრომისი) – ბანაკების სასამართლოები რჩებოდნენ, მაგრამ მათ ეძლეოდათ საკასაციო გასაჩივრების უფლება.

სტალინს ესმოდა, რომ ორგანოებს ძალიან გაუვიდათ თავს, როდესაც რეპრესიების მძნევარას მაგრად უჭერდნენ. 1934 წლის სექტემბერში მისი ინიციატივით შეიქმნა კომისია კაგანოვიჩის, კუიბიშევისა და ი.ა.აკულოვის (სსრ კავშირის პროკურორის) შემადგენლობით. მისი მიზანი „ორგანოების“ შემოწმება იყო – ცენტრალურ კომიტეტში შემოსული საჩივრების საფუძველზე. საჩივრები შეეხებოდა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში „მავნებლობას“ (1933 წელი), რის მიხედვითაც მოახდინეს ასამდე პასუხისმგებელი მუშაკის რეპრესია. კომისიამ ამ და სხვა საქმეების გამოძიების საქმეში სერიოზული დარღვევები გამოავლინა. სტალინს საერთოდ სურდა აკულოვის დანიშვნა საიდუმლო პოლიციის მეთაურად იაგოდას ნაცვლად, მაგრამ იმას ძალიან არ უნდოდა ხელიდან ასეთი პოსტის გაშვება. ერთობ უცნაურია, თუ სტალინს მივიჩნევთ ყოვლისშემძლე დიქტატორად, თავად იაგოდას კი – უხერხემლო მლიქვნელად. თუ სტალინის წინააღმდეგ მებრძოლებს დავუჯერებთ, სტალინის გადაწყვეტილება ხომ კანონი იყო, რომელიც განუხრელად უნდა შესრულებულიყო.

იმავე წელს გამოვლინდა კანონების სერიოზული დარღვევები ტაჯიკეთის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს მხრიდან. მისმა ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ სოლონიცინის მეთაურობით გააჩაღა რეპრესიები პასუხისმგებელი მუშაკების წინააღმდეგ. მხოლოდ 1933 წელს 662 კაცი დააპატიმრეს. ამასთან ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჰუსეინოვი ყველაფერში ეთანხმებოდა „ორგანოების“ მოქმედებას. როდესაც რეპრესიების შესახებ გაიგო, სტალინმა გამოიძახა რესპუბლიკის ხელმძღვანელობა და სოლონიცინი მოსკოვში „ხალიჩაზე“. სტალინსა და ტაჯიკეთის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს ხელმძღვანელს შორის გამართულ საუბარს ასე გადმოგვცემს მაშინდელი ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი მ.ურუხონჯანოვი:

„სტალინი ეკითხება სოლონიცინს:

– ამხანაგო სოლონიცინ, რამდენი კაცი დააპატიმრეთ?

მან უპასუხა:

– ჯერჯერობით 662. ჯერჯერობით.

– სად იყო თქვენთან შეიარაღებული აჯანყება? – ასეთ შეკითხვას აძლევს სტალინი.

– ამხანაგო სტალინ, შეიარაღებული აჯანყება ტაჯიკეთში არსად ყოფილა, – უპასუხა სოლონიცინმა.

შემდეგ სტალინი ისევ ეკითხება:

– შეიარაღებული აჯანყების არსებობის დროს ამდენ ხელმძღვანელ მუშაკს ხომ არ აპატიმრებენ?

სოლონიცინი ამბობს:

– ეს ჩვენი შეცდომაა“.

საუბრის შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება – გამოეწვიათ სოლონიცინი და მოეწყოთ რესპუბლიკაში შექმნილი სიტუაციის საგულდაგულო შემოწმება.

იაგოდა, „რკინის ჰენრიხი“, წარმოაჩენდა თავს უწყებრივ სეპარატისტად იმ საკითხებშიც, რომლებიც პირდაპირ არ იყო დაკავშირებული სახელმწიფო უშიშროებასთან. მაგალითად, სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 8 სექტემბრის დადგენილებით მას დაეკისრა პასუხისმგებლობა პატიმართა ძალებით მოსკოვის ჩრდილოეთის არხის მშენებლობისა და მდინარე იაუზის აკვატორიუმისა და სანაპიროს რეკონსტრუქციისთვის. იაგოდამ, რომელსაც არ სურდა დაეხარჯა „თავისი“ პატიმრების შრომა ამ პროექტზე, – უარი განაცხადა ამ ვალდებულებათა შესრულებაზე.

მაშასადამე, ჩვენს წინაშეა არა სატრაპი, არამედ სავსებით დამოუკიდებელი ფიგურა, რომელსაც არ შეეძლო არ ჰქონოდა საკუთარი პოლიტიკური შეხედულებები. ამ ფიგურას ასეთი შეხედულებები ჰქონდა. იაგოდა სიმპათიით ეპყრობოდა „მემარჯვენე გადახრის“ ლიდერებს. ამას ადასტურებდა თავად ბუხარინი კამენევთან თავისი საიდუმლო მოლაპარაკების დროს 1928 წლის შემოდგომაზე. ზემოთ უკვე იყო საუბარი იმის შესახებ, რომ მაშინ სტალინთან დაპირისპირების დროს „ბუხარჩიკი“ ეძებდა დასაყრდენს და სულაც არ რცხვენოდა წასულიყო კონტაქტებზე ჯერ კიდევ გუშინ ასე საზიზღარ „მემარცხენეებთან“. ბევრს აღარ ეპარება ეჭვი ამ მოლაპარაკების ფაქტზე, აგრეთვე სინამდვილეზე საუბრის ტექსტისა, რომელიც რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივში ინახება. აი, ხედავთ, როდესაც კამენევს არწმუნებდა თანამშრომლობის აუცილებლობის შესახებ, ბუხარინმა განაცხადა: „იაგოდა და ტრილისერი (მთავარი პოლიტიკური სამმართველოს განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე – ა.ე.) ჩვენთან არიან“.

მაგრამ, იქნებ „პარტიის რჩეულმა“ იცრუა კამენევთან იმის იმედით, რომ მასში ოპტიმიზმის ტალღა წარმოეშვა – აიო, ორგანოებიც კი ოპოზიციასთან ერთად არიანო? ძალიანაც შეიძლებოდა ასე ყოფილიყო, იმას ეს ახასიათებდა. მაგრამ ბუხარინის სიტყვები ერთადერთი არგუმენტი როდია.

იაგოდას „მემარჯვენე გადახრის“ შესახებ ღიად განაცხადა 1929 წელს მენჟინსკის მეორე მოადგილემ ტრილესერმა. მასაც, რასაკვირველია, შეეძლო ეცრუა (ჩეკაში ზნეობა სამონასტრო რომ არ იყო, ყველამ იცის),მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ეს მოღვაწე გამოდიოდა „მემარჯვენეების“ ლიდერებთან იაგოდას მჭიდრო საქმიანი და მეგობრული კონტაქტების ფაქტიდან. მთვარი პოლიტიკური სამმართველოს განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე შედიოდა სკპ (ბ) მოსკოვის კომიტეტის შემადგენლობაში, რომელსაც ბუხარინელი ნ.ა.უგლანოვი ხელმძღვანელობდა. პარტიულ აღრიცხვაზე ის იმყოფებოდა სოკოლნიკის რაიონულ პარტორგანიზაციაში, რომლის მდივანიც იყო გიბერი – ასევე ბუხარინის მომხრე. იაგოდა ხშირად ლოთობდა რიკოვთან და უგლანოვთან ერთად, რაც ასევე გარკვეულ აზრს გვიკარნახებს. ცხადია, რომ ისეთ გამოცდილ კარიერისტს, როგორიც ტრილესერი იყო, არ შეეძლო თავისი საჯარო ბრალდება წამოეწყო ცარიელ ადგილზე, საჭირო იყო რაღაც საფუძველიც.

როდესაც რეპრესიების შიშით ტომსკიმ თავი მოიკლა (1936 წელი), მან სიკვდილისწინა წერილი დატოვა. მასში ყოფილი პროფკავშირული ბოსი იტყობინებოდა მეორე წერილის არსებობაზე, რომელშიც არის მისი „პარტიის წინაშე დიდი დანაშაულებების“ ფაქტები. ეს წერილი შემონახული არ არის, მაგრამ ტომსკის შვილმა იურიმ განაცხადა, თუ მან თავის ძმა ვიქტორთან და მამამისის მოადგილე ბრონთან ერთად როგორ აღმოაჩინეს წერილი თვითმკვლელის სეიფში. მათ წერილი გადასცეს ეჟოვს, რომელიც მაშინ პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე იყო. მან წაიკითხა წერილი და აღფრთოვანებული დარჩა. შემონახულია ეჟოვის სტალინთან სატელეფონო საუბრის ჩანაწერი ამ წერილთან დაკავშირებით. ეჟოვი ატყობინებს ტომსკის ბრალდებების შესახებ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მისამართით. ეს არის არა ანგარიში ფალსიფიკაციის შესახებ, არამედ სინამდვილეში მომხდარი ფაქტის აღწერა. ცხადია, რომ ტომსკის წერილიც სწორედ ამ ბრალდებებს შეიცავდა. ტომსკი აღიარებდა თავის დანაშაულს პარტიის წინაშე, თანაც თავის თანამონაწილედ იაგოდასაც მიიჩნევდა.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 14-38.

## რაგბი

# ზელანდიის საგზური დაიბევეს

**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ევროპის ერთა თასის გათამაშების მეორე წრის შეხვედრაში ესპანეთს უმასპინძლა. ეს მატჩი 2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპის პაექრობაც იყო. მოგების შემთხვევაში ბორჯღალოსნები ვადამდე დაიბევებდნენ ზელანდიის საგზურს, ამიტომ გამარჯვების წყურვილით გავიდნენ მოედანზე, მაგრამ ასპარეზობის პირველსავე წუთებში უამრავი შეცდომა დაუშვეს და პირენეელ „ლომებს“ დაწინაურების საშუალება მისცეს: მესამე წუთზე ზუსტი საჯარიმო დარტყმით ანგარიში ნავამ გახსნა — 3:0. მასპინძლები ცოტა გვიან მოეგნენ გონს და უდესიანმა მხოლოდ 32-ე წუთზე შეძლო ლელოთი თავისიანების დაწინაურება. გარდასახვაც უნაკლოდ შეასრულა კვირიკაშვილმა. ტაიმიც ასე დასრულდა — 7:3.**



შესვენების შემდეგ ბორჯღალოსნებმა თამაშის ხარისხი გააუმჯობესეს, შეტევები უფრო მიზანსწრაფული გახდა, რაც ანგარიშშიც აისახა — თავართქილაძემ და დადუნაშვილმა ორი ლელო მიითვალეს. შეხვედრის ბოლო ათ წუთში ნავამ კიდევ ორი ჯარიმა გაგვიტანა, თუმცა საკუთარი გუნდი მარცხისგან ვერ იხსნა. საქართველოს ნაკრებმა 17:9 გაიმარჯვა და მსოფლიო თასზე ასპარეზობის უფლება ზედიზედ მესამედ მოიპოვა.

გასულ უქმეებზე სოჭში რუსეთის ნაკრებმა რუმინეთს დაუზავდა — 21:21, პორტუგალიამ კი გერმანიაში მასპინძლებს 69:0 აჯობა.

ევროპის ერთა თასის გათამაშების ორწლიანი ციკლის 8 ტურის შემდეგ საქართველო 23 ქულით პირველ ადგილზეა, რუსეთს 21 ქულით მეორე ადგილი უკავიათ. პორტუგალია 17 ქულით მესამე საფეხურზეა.

**13 მარტს ითამაშებენ:** რუმინეთი — საქართველო, ესპანეთი — პორტუგალია, რუსეთი — გერმანია.

**20 მარტი.** გერმანია — ესპანეთი, საქართველო — რუსეთი (მატჩი ტრაბზონში გაიმართება), პორტუგალია — რუმინეთი.

**27 მარტი**. რუმინეთი — ესპანეთი.

## ვანკუვერი — 2010

# ოლიმპიადის ტაბლო

**თხილამურებით რბოლა, მას-სტარტი. 50 კმ. კაცები**

1. პეტერ ნორტუგი (ნორვეგია), 2. აქსელ ტაიკმანი (გერმანია), 3. იუხან ოლსონი (შვეიცარია).

**თხილამურებით რბოლა, მას-სტარტი. 30 კმ. ქალები**

1. იუსტინა კოვალჩიკი (პოლონეთი), 2. მარიტ ბიორგენი (ნორვეგია), 3. აინო კაისა საარინენი (ფინეთი).



**სნოუბორდი. პარალელური გიგანტური სლალომი.**

**კაცები.** 1. ჯესი-ჯეი ანდერსონი (კანადა, 2. ბენჟამინ კარლი (ავსტრია), 3. მატიუ ბოცეტო (საფრანგეთი).

**ქალები.** 1. ნიკოლენ ზაუერბრეი (ჰოლანდია), 2. ეკატერინა ილიუხინა (რუსეთი), 3. მარიონ კრეინერი (ავსტრია).

**ბობსლეი. ოთხეული. კაცები**

1. აშშ, 2. გერმანია, 3. კანადა.

**ქიორლინგი**

**ქალები.** 1. შვედეთი, 2. კანადა, 3. ჩინეთი.

**კაცები.** 1. კანადა, 2. ნორვეგია, 3. შვეიცარია.

**ციგურებით რბენა. გუნდური გამოდევნება.**

**ქალები.** 1. გერმანია, 2. იაპონია, 3. პოლონეთი.

**კაცები.** 1. კანადა, 2. აშშ, 3. ჰოლანდია.

**შორტ-ტრეკი**

**კაცები. 500 მ.** 1. ჩარლზ ჰემელინი (კანადა), 2. სი ბაკ სუნი (ს. კორეა), 3. ფრანსუა ლუის ტრემბლე (კანადა).

**ქალები. 1000 მ.** 1. მენ ვანი (ჩინეთი), 2. კეტრინ რეიტერი (აშშ), 3. სუნ ჰი პაკი (ს. კორეა).

**კაცები. 5000 მ. ესტაფეტა.** 1. კანადა, 2. ს. კორეა, 3. აშშ.

**ბიატლონი. ესტაფეტა 4X7,5 კმ. კაცები**

1. ნორვეგია, 2. ავსტრია, 3. რუსეთი.

**ჰოკეი. კაცები.**

1. კანადა, 2. აშშ, 3. ფინეთი

**საბოლოო საერთო გუნდური ჩათვლა მედლებით (პირველი ათეული)**

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. კანადა | 14 | 7 | 5 | 26 |
| 2. გერმანია | 10 | 13 | 7 | 30 |
| 3. აშშ | 9 | 15 | 13 | 37 |
| 4. ნორვეგია | 9 | 8 | 6 | 23 |
| 5. ს. კორეა | 6 | 6 | 2 | 14 |
| 6. შვეიცარია | 6 | 0 | 3 | 9 |
| 7. ჩინეთი | 5 | 2 | 4 | 11 |
| 8. შვედეთი | 5 | 2 | 4 | 11 |
| 9. ავსტრია | 4 | 6 | 6 | 16 |
| 10. ჰოლანდია | 4 | 1 | 3 | 8 |

## ძიუდო

# ლიპარტელიანმა ნავსი გატეხა

**პრაღის მსოფლიო თასის გათამაშებაში საქართველოს 14 ძიუდოისტი მონაწილეობდა მთავარი მწვრთნელის ამირან ტოტიკაშვილის ხელმძღვანელობით. მათგან მხოლოდ ვარლამ ლიპარტელიანმა (90 კგ) გამოიჩინა თავი. ქართველმა ფალავანმა იპონით სძლია ბელარუს ანდრეი კიპსევიჩს, ავსტრიელ კრისტოფ კრონბერგერსა და ფრანგ რომან ვოლსკას, უფრო მოკრძალებული ანგარიშით დაამარცხა რუსი მარატ გასიევი, გერმანელი რობერტ დუმკე, ლიტველი კაროლის ბაუზასი და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. საგულისხმოა, რომ ლიპარტელიანმა 2010 წელს პირველი მედალი მოიპოვა.**



პრაღის მსოფლიოს თასის გათამაშებაში, ასევე, მონაწილეობდნენ პაატა მერებაშვილი (60 კგ), შალვა ქარდავა, დავით ასუმბანი, მინდია ხომიზური (სამივე — 66), თენგიზ პაპოშვილი (73), ლევან წიკლაური, დავით კარბელაშვილი (ორივე — 81), ზვიად გოგოჭური, საბა გავაშელიშვილი (ორივე — 90), ლევან ჟორჟოლიანი, რევაზ ჩიკოიძე (ორივე — 100), ზვიად ხანჯალიაშვილი და ლაშა გუჯეჯიანი (ორივე — მძიმე), რომლებიც კვარცხლბეკის მიღმა აღმოჩნდნენ.

გასულ უქმეებზე ვარშავის მსოფლიოს თასზე ქალებმა იასპარეზეს. ქართველთაგან ძალებს ცდიდნენ სალომე წოწკოლაური (70), ნინო ოძელაშვილი (78) და ირინე ლეონიძე (+78). ჩვენებურები პირველსავე ორთაბრძოლებში დამარცხდნენ და შეჯიბრებას გამოეთიშნენ.

## ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე



**იტალია.** „უდინეზე“ — „ინტერი“ 2:3, „მილანი“ — „ატალანტა“ 3:1, „ნაპოლი“ — „რომა“ 2:2, „იუვენტუსი“ — „პალერმო“ 0:2.

**ესპანეთი.** „ბარსელონა“ — „მალაგა“ 2:1, „ტენერიფე“ — „რეალი“ 1:5, „ატლეტიკო“ — „ვალენსია“ 4:1, „სევილია“ — „ბილბაო“ 0:0.

**ინგლისი.** „ჩელსი“ — „სიტი“ 2:4, „სტოკი“ — „არსენალი“ 1:3, „ლივერპული“ — „ბლექბერნი“ 2:1.

**ლიგის თასის ფინალი.** „მანჩესტერი“ — „ასტონ ვილა“ 2:1.

**გერმანია.** „ბაიერნი“ — „ჰამბურგი“ 1:0, „ლევერკუზენი“ — „კიოლნი“ 0:0, „შალკე“ — „ბორუსია“ 2:1, „მაინცი“ — „ვერდერი“ 1:2.

## კალათბურთი

# ქველმოქმედება ვეტერანთა სახელით

**სუპერლიგის XIV ტურის შეხვედრების შემდეგ დედაქალაქის სპორტის სასახლის ტრიბუნებზე შეკრებილი საზოგადოებრიობა კალათბურთის განვითარების ფონდის პრეზენტაციის მონაწილე გახდა, რომელიც რუსთავის „აზოტის“ ყოფილმა მოთამაშემ დავით მურჯიკნელმა დააფუძნა.**

**700-367.** ასეთი გახლავთ იმ ზარის ნომერი, რომლის აკრეფის შემთხვევაშიც გულშემატკივარი პირნათლად მოიხდის საქველმოქმედო ვალს და ძველი გვარდიის ღირსეულ წარმომადგენლებს შემწეობას აღმოუჩენს.

ბუნებრივია, ღონისძიების ორგანიზატორებმა მის სანახაობრივ მხარეზეც იზრუნეს და სახელოვან ვეტერანთა მონაწილეობით გამართული სალაღობო მატჩი ხელოვნების ოსტატთა მრავალფეროვანი პროგრამით დაამშვენეს. ნიკოლოზ დერიუგინი, პაატა გურასპაული, ნოდარ ქორქია, ვახტანგ ნაცვლიშვილი, კახა შენგელია, ალექსანდრე ფერიაშვილი, ამბროსი ორმოცაძე, რამაზ გოგობერიშვილი, არჩილ ჟღენტი, დავით თორთლაძე, მიხეილ ბერუაშვილი, რევაზ ჩარხიანი, გიორგი გაგნიძე, თამაზ ღლონტი, ზაზა ცაგარეიშვილი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი — აი, ვინ იხილა იმ საღამოს დამსწრე აუდიტორიამ სარბიელზე. ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ მას 15-წუთიანი ტაიმების ხანგრძლივობა ეცოტავა. ვერც გაამტყუნებ — ასე იცის კუმირების მონატრებამ.



**რაც შეეხება მანამდე გამართულ ეროვნული ჩემპიონატის მორიგ ბრძოლებს, ისინი ასეთი შედეგებით დასრულდა:** „ენერჯი ინვესტი“ — „სოხუმი“ 103:69, საუ — „ბათუმი“ 75:62, შსს — სამედიცინო აკადემია 81:65, „დინამო“ — „ჭიათურა“ 83:58.

## ინტერნეტიდან




### შანსი არ მისცეს

**დიახ, შანსი რომ მიეცათ, კანადელი მოთხილამურე ბრაიან მაკკავერი ისტორიაში პირველი პარალიმპიელი იქნებოდა, თეთრ ოლიმპიადაში რომ მიიღო მონაწილეობა.**

ის მხოლოდ ერთ სახეობაში აპირებდა მონაწილეობას — სათხილამურო მარათონში 50 კილომეტრზე. მაგრამ კანადის ნაკრების მწვრთნელმა ის საბოლოო განაცხადში არ შეიყვანა.

ბრაიანი, რომლის მხედველობა ნორმალურის მხოლოდ 10 პროცენტია, წლეულს, იანვარში პირველად მოხვდა კანადის ოლიმპიურ ნაკრებში, რამაც უდიდესი ინტერესი გამოიწვია მსოფლიოს სპორტულ საზოგადოებრიობაში. მან ხომ უკვე შვიდი მედალი მოიპოვა პარალიმპიურ თამაშებზე, მათ შორის ოთხი ოქროა.

ახლა ნაკრებში მის შეუყვანლობას ჟურნალისტებმა უწოდეს ზამთრის კანადური თამაშების მთავარი იმედის გაცრუება. თავად სპორტსმენმა კი თავის დღიურში ჩაწერა: „ოლიმპიური ოცნება მოკვდა, მე ასე არასდროს მტკივებია“.

### ტოხას რჩეული

**რუმინული კლუბის „სტიაუას“ კოლუმბიელმა ფეხბურთელმა კარლოს ტოხამ სახელის მოპოვება გადაწყვიტა. აბა, ფეხბურთის მინდორზე ის კრიშტიანუ რონალდუს ხომ ვერ აჯობებდა, ამიტომაც ეშმაკური სვლა გადაწყვიტა — ულამაზესი ქალიშვილის გამოჭერა. უამრავი ვარიანტიდან ის ლიდია ბახუსზე — „პლეიბოის“ რუმინელ ვარსკვლავზე შეჩერდა.**



სამიოდე წლის წინათ ლამაზმანი ერთ მდიდარ შვეიცარიელ მამაკაცთან ცხოვრობდა, ყველგან თან დასდევდა დიდ მიღებებსა და ღონისძიებებზე. თუმცა ახლა, მან უკვე ახალი ქალიშვილი იშოვა.

ტოხა კი აცხადებს, რომ არ იცოდა თუ ლიდია მოდელი იყო. „ის უბრალოდ ძალიან მომეწონა“, — თქვა მან.

როგორც ამბობენ, ისინი უკვე დაახლოვდნენ.

გამოსათხოვარი

# აკადემიკოსი ალბერტ (ალეკო) თავხელიძე

გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი (1986-2005 წწ.), გამოჩენილი ფიზიკოსი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ალბერტ (ალეკო) თავხელიძე.

ალეკო თავხელიძე დაიბადა 1930 წლის 16 დეკემბერს თბილისში. იგი გაიზარდა მდიდარი ტრადიციების მქონე მეგობრულ, სტუმართმოყვარე, ქალზედ მუსიკალურ, კულტურულ და განათლებულ ატმოსფეროსადმი ღრმად თაყვანისმცემელ ოჯახში.

ა.თავხელიძემ 1948 წელს დაამთავრა თბილისის მე-8 ვაჟთა საშუალო სკოლა, ხოლო 1953 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი „თეორიული ფიზიკის“ სპეციალობით. უნივერსიტეტში მიღებულმა საფუძვლიანმა განათლებამ და აკადემიკოსების ილია ვეკუასა და ნიკო მუსხელიშვილის რეკომენდაციებმა საშუალება მისცა მას ასპირანტურის კურსი გაევლო მოსკოვში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ.სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი აკადემიკოსი ნ.ბოგოლიუბოვი იყო. 1957 წელს იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.



აკადემიკოსების ნ.ბოგოლიუბოვისა და ა.ლოგუნოვის მიწვევით 1956 წელს ა.თავხელიძემ თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა დუბნაში (მოსკოვის ოლქი) ბირთვულ გამოკვლევათა გაერთიანებული ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის ლაბორატორიაში დაიწყო.

ა.თავხელიძე დუბნაში 1956-1970 წლებში მუშაობდა, სადაც განვლო გზა მეცნიერი მუშაკიდან თეორიული ფიზიკის ლაბორატორიის დირექტორის მოადგილის ჩათვლით. ბირთვულ გამოკვლევათა გაერთიანებული ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის ლაბორატორიის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ა.თავხელიძემ 1963 წელს დაიცვა დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1965 წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება. იგი აკადემიკოს ნ.ბოგოლიუბოვსა და აკადემიკოს ა.ლოგუნოვთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადებას, ყოველნაირად ცდილობდა მოეზიდა ყველაზე გამორჩეული სტუდენტები და ასპირანტები თეორიული ფიზიკის ლაბორატორიაში.

დიდია ა.თავხელიძის დამსახურება დუბნასა და მის ფარგლებს გარეთ მთელი რიგი სიმპოზიუმების, სკოლების, კონფერენციებისა და სხვათა ორგანიზაციასა და ჩატარებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია არაფორმალური სემინარები, რომლებსაც 1966-1971 წლებში რეგულარულად ატარებდნენ ბირთვულ გამოკვლევათა გაერთიანებული ინსტიტუტი და ჟენევაში ბირთვულ გამოკვლევათა ევროპული ცენტრი (CERN).

1965-1970 წწ. ა.ლოგუნოვის მიწვევით ა.თავხელიძემ მონაწილეობა მიიღო მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში (პროტვინო, მოსკოვის ოლქი) თეორიული ფიზიკის სექტორის ჩამოყალიბებაში და მისი პირველი ხელმძღვანელი იყო. ნ.ბოგოლიუბოვისა და ა.თავხელიძის ერთობლივი ძალისხმევით 1967 წელს კიევში გაიხსნა თეორიული ფიზიკის ინსტიტუტი, რომელიც ამჟამად ნ.ბოგოლიუბოვის სახელს ატარებს. აქ ა.თავხელიძე მუშაობდა ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკის განყოფილების გამგედ (1967-1971 წწ.).

მოსკოვში მუშაობის პერიოდში გააქტიურდა ა.თავხელიძის კავშირები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან. 1971 წელს ნ.მუსხელიშვილის მხარდაჭერით ა.რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში შეიქმნა თეორიული ფიზიკის განყოფილება, რომლის ხელმძღვანელობა ა.თავხელიძეს დაევალა.

1987 წელს მაღალი ენერგიების ფიზიკის ლაბორატორიის ბაზაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტთან შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი, რომლის ხელმძღვანელად ა.თავხელიძე დაინიშნა.

1967 წელს ა.თავხელიძე არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1974 წელს – ნამდვილ წევრად.

1986 წელს ა.თავხელიძე არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად.

1986 წლიდან ა.თავხელიძე ჟურნალ „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბის“ მთავარი რედაქტორია.

1995 წლიდან იგი ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი იყო.

ა.თავხელიძე 200-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორია, რომლებიც ციტირების მაღალი ინდექსით ხასიათდება.

მეცნიერებაში შეტანილი დიდმნიშვნელოვანი წვლილისათვის 1984 წელს ა.თავხელიძე არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1990 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის (1991 წლიდან – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის) ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

ა.თავხელიძე საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1973) იყო, ამ პრემიით აღინიშნა ერთობლივ სამუშაოთა ციკლი „Л-მეზონების ნუკლონებზე ფოტოდაბადება“. ერთობლივ სამუშაოთა ციკლი „ახალი კვანტური რიცხვი – ფერადი და ელემენტარული ნაწილაკების და ატომური ბირთვების კვარკულ სტრუქტურაში დინამიკურ კანონზომიერებათა დადგენა“ 1986 წელს ლენინური პრემიით იქნა აღნიშნული. 1998 წელს მას რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. აკადემიკოსი ა.თავხელიძე წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე.

საბჭოთა კავშირის აღმოჩენათა სახელმწიფო რეესტრში 1987 წელს რეგისტრირებულ იქნა აღმოჩენა – „თავხელიძე-მატვეევ-მურადიანის კვარკული თვლის წესი“. მეცნიერთა მსოფლიო ფედერაციაში აქტიური მონაწილეობისა და ქრისტეშობის 2000 წლის ზეიმთან დაკავშირებით რომის პაპმა იოანე პავლე II-ემ 1999 წელს ა.თავხელიძეს სამახსოვრო ნიშანი გადასცა.

1987-1990 წლებში ა.თავხელიძე საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი იყო. 1989 წელს იგი არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატად.

ა.თავხელიძეს მიღებული აქვს საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ფედერაციის მთელი რიგი უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოები. იგი უცხოეთის რამდენიმე აკადემიის წევრი, მშვიდობისათვის მეცნიერთა პაგოუშის მოძრაობის მონაწილეა.

2005 წლის იანვარში ა.თავხელიძემ ავადმყოფობის გამო დატოვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თანამდებობა და მოსკოვში დაბრუნდა, სადაც გადიოდა ინტენსიურ მკურნალობას და როცა თავს უკეთესად გრძნობდა კვლავ თავის საყვარელ საქმეს – მეცნიერებას უბრუნდებოდა. იგი თანამშრომლობას აგრძელებდა ბირთვულ გამოკვლევათა ინსტიტუტთან და დუბნის ბირთვულ გამოკვლევათა გაერთიანებულ ინსტიტუტთან.

აღსანიშნავია, რომ მ.ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით აკადემიკოსი ა.თავხელიძე 2008 წლის დეკემბერში ახლად შექმნილი ნაწილაკებისა და კოსმოლოგიის კათედრის გამგედ დაინიშნა.

ყველა, ვინც კარგად იცნობდა ბატონ ალეკოს, ყოველთვის აღნიშნავდა მის ისეთ თვისებებს, როგორიცაა: მეცნიერებისადმი თავდადება, უდიდესი ნებისყოფა, იშვიათი შრომისუნარიანობა და დასახული მიზნის მისაღწევად ადამიანთა დარაზმვის უნარი, მეგობრობაში საიმედოობა და გულკეთილობა.

საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემია

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პრეზიდენტი

ალბერტ (ალეკო) თავხელიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს

---



საზოგადოება „ზუგდიდელების“ სახელით ოთარ ფაცაცია, მურმან ნაჭყებია, ანზორ შონია, ბონდო ჯიქია, ჯემალ კვირტია, კარლო ვეკუა, ოთარ ჭითანავა, თამაზ გაფრინდაშვილი, ანზორ ჭითანავა, არსენა ლოლუა, გოგი თოდუა, ვაჟა კეიდია, ფელიქს იზორია, გენო კობახიძე, ოთარ ბულია, ზურაბ ჩიქავა, რობერტ ბაღიშვილი, კახა არდია, კუკური როგავა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ზუგდიდელების სიძე, ღირსეული მამულიშვილი, დიდებული პიროვნება, ცნობილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ყოფილი პრეზიდენტი

ალეკო (ალბერტი) თავხელიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ მის მეუღლეს მაია მეუნარგიას.

---

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და მეცნიერების ორგანიზატორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პრეზიდენტი, ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების დამაარსებელი, აკადემიკოსი

ალეკო თავხელიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო მწუხარებით თანაუგრძნობენ ბატონ გივი გამსახურდიას ოჯახს შვილის

კახა გამსახურდიას

უეცარი გარდაცვალების გამო.

---

დარეჯან ელიაძე, გიორგი დუნდუა მწუხარებით იუწყებიან

კახა გამსახურდიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და სხვა ჭირისუფლებს.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია უსამძიმრებს ბატონ გივი გამსახურდიას შვილის

კახა გამსახურდიას

გარდაცვალების გამო.

---

რევაზ მიშველაძე და იგორ კვესელავა უთანაგრძნობენ გივი გამსახურდიას შვილის

კახა გამსახურდიას

გარდაცვალების გამო.

---

ირაკლი კოვზანაძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს პროფესორ გივი გამსახურდიას შვილის

კახა გამსახურდიას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსების და საბანკო საქმის კათედრა ღრმა მწუხარებას გამოხატავს კათედრის ყოფილი გამგის, პროფესორ გივი გამსახურდიას შვილის

კახა გამსახურდიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საფინანსო და საბანკო საქმის მიმართულება თანაუგრძნობს ამავე მიმართულების სრულ პროფესორს გივი გამსახურდიას

შვილის

გარდაცვალების გამო.

---

## განცხადება საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ

სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ სააუქციონო კომისია აცხადებს საჯარო აუქციონს ბანკის კრედიტორულ მოთხოვნებზე (სასესხო დავალიანებაზე).

გასაყიდად გამოტანილი იქნება ბანკის მოთხოვნები სუბიექტების (იურიდიული და ფიზიკური პირები) მიმართ. თითოეული სუბიექტის მიმართ მოთხოვნების გაყიდვა მოხდება დამოუკიდებელ ლოტად.

აუქციონი გაიმართება 2010 წლის 15 მარტს 12 საათზე, ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. №33-ში, დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ ოფისში ქ. ბათუმი 26 მაისის ქ. №33, ტელ: 7-60-03, 899-561-13-82.

სააუქციონო კომისია

---

სს „კრედიტინფო საქართველო“ აცნობებს თავის აქციონერებს, რომ ამა წლის 23 მარტს, კომპანიის მისამართზე ჯანაშიას ქ. №16, 16 საათზე ჩატარდება აქციონერთა საერთო კრება. საალრიცხვო თარიღია 2010 წლის 8 თებერვალი.

დღის წესრიგი:

1. გასული წლის შედეგების განხილვა;
2. ცვლილებების დამტკიცება სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში;
3. მოგების განაწილება.

სს „კრედიტინფო
საქართველოს“ დირექცია

---

## სსიპ არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი აცხადებს საჯარო კონკურსს სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად

**1. მართვის სისტემებისა და მოდელირების განყოფილება –**
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული;
**2. ენობრივი და სამეტყველო სისტემების განყოფილება –**
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული.

**ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად:**

უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი ან აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;

**კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:**

**ა)** განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
**ბ)** კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
**გ)** დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
**დ)** გამოქვეყნებული (მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში) სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

**საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტში, მისამართი: მინდელის № 10, მე-4 სართული. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა 2010 წლის 12 მარტის 17 საათი.**

**პასუხისმგებელი პირი ნინო ჯავაშვილი**

ტელ: 319872. E-mail: ninojavashvili@yahoo.com

## ყველაფერი ყველაფერზე

### „უტოპია“ ნიშნავს „არარსებულ ადგილს“

**მეფეებთან ბრძოლა დაებედა**



**ინგლისური აღორძინების პირველ ჰუმანისტს, დიდ მწერალსა და მოაზროვნეს ტომას მორს თავიდანვე დაებედა მეფეებთან ბრძოლა. მაშინ, როცა პარლამენტის წევრი იყო, სულაც არ შეშინებია წარმოეთქვა სიტყვა მეფე ჰენრი VII-ის წინააღმდეგ, რომელიც პარლამენტისგან სუბსიდიების გაზრდას მოითხოვდა.** ასე არ უნდაო და ჯერ მისი მამა დააპატიმრეს, შემდეგ კი თვით ტომას მორსაც უბრძანეს პარლამენტში აღარ გამოჩენილიყო. ჰყავდა სამი ქალიშვილი და ვაჟიშვილები. ისე შესანიშნავად აღზარდა, რომ ისინი თავიანთი ცოდნით ნებისმიერ ადამიანს აოცებდნენ. დიალოგში „აბატი და სწავლული ქალბატონი“ ერაზმ როტერდამელი ჩამოთვლის იმ თავის თანამედროვე ქალებს, რომლებიც განათლებით ვაჟებს არ ჩამოუვარდებიან. მათ შორის არიან ტომას მორის ოჯახის წევრებიც.

**დიდი მეგობრობა**

**1509 წელს ინგლისში ჩავიდა ერაზმ როტერდამელი. ამ დროიდან დაიწყო ტომას მორისა და ერაზმის დიდი მეგობრობა, დიდი სიყვარულით და ურთიერთპატივისცემით სავსე.** საინტერესოა, რომ ლონდონში მორიგი ვიზიტის დროს ერაზმი ტომას მორის ოჯახში ცხოვრობდა. ხანგრძლივი საუბრების შემდეგ ერაზმმა დაწერა თავისი ბრწყინვალე, შეუდარებელი სატირა, რომელიც მან სწორედ ტომას მორს მიუძღვნა. გარდა ამისა, მეგობრობა ერთობლივად თარგმნეს ლათინურ ენაზე ლუკიანეს დიალოგები.

### ეჰ, ჩემო დავით სარდალო!



**საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილია იმერელი ელჩების სტუმრობა თბილისში, როდესაც მათ ერეკლე II-ის იმერეთის შეერთება სთხოვეს. აღმოსავლეთ დიპლომატიაში გამობრძმედილ მეფეს კარგად ესმოდა, რომ ამის გაკეთება შეუძლებელი იყო, იმერეთის შეერთება ოსმალეთთან გარდაუვალ ომს გამოიწვევდა.**

ერთობას თავისი მომხრეებიც ჰყავდა და მოწინააღმდეგეებიც. იოანე მუხრანბატონმა სამარცხვინო განცხადება გააკეთა, ქართლ-კახელებს ჩვენთვის ვერ მოგვივლია, იმერეთს როგორღა მოუაროთო. ამ სიტყვებმა პირდაპირ აღაშფოთა დავით სარდალი: „მართლად აღიარებს მუხრანბატონი, რომ ვერ მოუვლის იგი დღეს ქვეყანასა თავის ხრმლით და ზაირალითა. მოვა დრო და მოსცემს ღმერთი სხვასა მუხრანბატონსა, რომლისა ხრმალი უფრო მჭრელი იქნება“.

ამაოდ ელოდნენ ქართველები ამ „სხვა მუხრანბატონის“ გამოჩენას. არ გამოჩნდა და არა. ამასობაში საშინელმა კრწანისის ბრძოლამ ქართლ-კახეთის სამეფო დაასამარა. თვით დავით სარდალი კი, რომელსაც ჭრილობებისგან დამბლა დაეცა, ამ ბრძოლაში, ცხადია, მონაწილეობას ვერ მიიღებდა.

### „კორნელის ქვეყანაში რომ არ ვცხოვრობდე...“



**ერთ-ერთი გახმაურებული დუელის შემდეგ ალექსანდრე დიუმა (მამამ სასამართლოში დაიბარეს, როგორც მოწმე. როგორც ყოველთვის, მწერალმა „საკუთარი სტილის სრული დაცვით“ სასამართლოში თავისი მორიგი საყვარელი წაიყვანა: მსახიობი ატალა ბაშენი. ასევე მოიქცა მისი შვილი ალექსანდრე დიუმაც, თუმცა მას და მის საყვარელს არავინ ეპატიჟებოდა: უბრალოდ, ყველაფერში მამას ბაძავდა!**

დარბაზში შეკრებილმა დიდძალმა ხალხმა, მწერალი რომ დაინახა, მას აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყო. როგორც იქნა, ხალხი რომ დააწყნარეს, სასამართლოს თავმჯდომარემ, როგორც წესი და რიგია, ალექსანდრე დიუმას ჰკითხა:

–თქვენი პროფესია?

– კორნელის ქვეყანაში რომ არ ვცხოვრობდე, ვიტყოდი, რომ დრამატურგი ვარ (მისი განთქმული რომანები ჯერ კიდევ არ იყო დაწერილი).

მოსამართლეს გაეცინა და ცივად, დამცინავად უპასუხა:

– დიახ, ამ ქვეყანაში გრადაცია არსებობს!

**მოამზადა
გივი
გამრეკელმა**

## დღის კალენდარი

## 2 მარტი



ამოდის 06.35
ჩადის 17.52



ამოდის 20.22
ჩადის 07.20

**დიდმოწამისა თეოდორე ტირონისა, ახლად სტრატიოტად განწესებულისა (IVს; მღვდელმოწამისა თეოდორე აჭარელისა, მღვდელმონაზონისა, ოსმალთაგან წამებულისა (XIXს; მართლისა მარიამნასი, მოციქულ ფილიპეს დისა (Iს; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა მოწამისა მინა კალიკელადისა (867-889ს; მღვდელმოწამისა ერმოგენისა, რუსეთის პატრიარქისა, სასწაულმოქმედისა (1612ს ; ღირსისა თეოსტირიქტოსი; ავქსივი კვიპრელი ეპისკოპოსისა (102ს; კეთილმსახურთა მეფეთა მარკიანესი ( 450-457ს და პულხერიასი (453ს; ღირსისა რომანოზ ტირნოველისა (დაახლ.1370ს; მოწამისა მიქაელ ანდრიანოპოლელისა (1490ს; მოწამისა თეოდორე ბიზანტიელისა (1795ს.**

### დაიბადნენ:

1824 – **ბედრჟიხ სმეტანა,** ჩეხი კომპოზიტორი.

1859 – **შოლომ-ალეიხემი,** ებრაელი მწერალი.

1878 – **მიხაკო წერეთელი,** ქართული ასირიოლოგიის ფუძემდებელი, ქართული პოლიტიკური ანარქიზმის ფუძემდებელი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი. გარდაიცვალა 1965 წელს.

1917 – **მირზა გელოვანი,** პოეტი. გარდაიცვალა 1944 წელს.

1931 – **მიხაილ გორბაჩოვი,** საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი.

### გარდაიცვალნენ:

1897 – **ჰორაციო უოლპოლი,** ბრიტანელი ისტორიკოსი, პოლიტიკური მოღვაწე.

1939 – **ჰოვარდ კარტერი,** ინგლისელი არქეოლოგი, მან აღმოაჩინა ტუტანხამონის სარკოფაგი.

### მოვლენები:

1796 – ნაპოლეონ ბონაპარტი იტალიაში მოქმედი არმიის მთავარსარდლად დაინიშნა.

1917 – რუსეთის იმპერატორმა ნიკოლაი მეორემ ტახტზე უარი თქვა თავისი უმცროსი ძმის მიხეილის სასარგებლოდ.

1992 – ბოსნიაში დაიწყო სამოქალაქო ომი.

**მედიანიუსი**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7360 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3632 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6481 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.7792 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.5165 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1608 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1727 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1279 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5433 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +4 – +14 |
| ქუთაისი. | +5 – +18 |
| ბათუმი. | +6 – +12 |
| ზუგდიდი. | +3 – +14 |
| თელავი. | +5 – +13 |

## ანეკდოტები

– ქვირფასო, რა გაჩუქო სარვამარტოდ? – ეკითხება ტიპი ქალს.

– ოი, არც კი ვიცი...

– მაშინ კიდევ ერთ წელს გაძლევ მოფიქრებისთვის...

* * *

– ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, გამაღვიძა მაღვიძარამ.

– როგორ?

– ცოლმა ის თავში ჩამარტყა!

* * *



შაბათი ბოლო დღე იყო მიხოს ქორწინებამდე. ამიტომაც მან გადაწყვიტა, ის დღე მამასთან ერთად გაეტარებინა. მორიგი ჭიქაც რომ ასწიეს, მიხომ მამას ჰკითხა:

– რას მისურვებ და მირჩევ, მამი, ქორწინების წინ?

– ორ რამეს, შვილო, პირველს იმას, რომ ამთავითვე ჩაუნერგო ცოლს, კვირაში ერთი დღე მეგობრებთან უნდა გავატაროო.

– კარგი რამეა. მეორეს?

– მეორეს იმას, რომ ის დღე მართლა მეგობრებში არ გაფლანგო.

* * *

პატარა ეშმაკობები: იმისათვის, რომ კატა ტუალეტში მოსაქმებას მიაჩვიო, ჯერ კითხვა და სიგარეტის მოწევა უნდა ასწავლო.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.